საერთო გაზეთი

№22-23 (844-845)
ოთხშაბათი
17 ივნისი,
2026 წ.
ფასი 2 ლ.

ნაცები ქილაში გამომწყვდეულ ვირთხებს დაემსგავსნენ

აურზაური ლენინივით გაშოტილი „ნაცმოძრაობის“ გარშემო, დამარხვა რომ არ ეღირსა

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 1 ივლისს

ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტში:
WWW.SAERTOGAZETI.COM

ჩვენი ქვეყნები და ჩვენი ხელისუფლებები ძალიან კარგად აცნობიერებენ სუვერენიტეტის დაცვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას

ჩვენთვის განსაკუთრებული პატივია, დღეს ვმასპინძლობდეთ სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ალექსანდარ ვუჩიჩს. დღეს, როდესაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა განიცდის ლიდერების დეფიციტს, სერბეთს ჰყავს გამორჩეული ლიდერი, რომელიც მტკიცედ ზრუნავს საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვაზე, განმტკიცებაზე და მაქსიმუმს აკეთებს სერბი ხალხის კეთილდღეობისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებული პატივია, ვმასპინძლობდეთ დღეს ბატონ ალექსანდარ ვუჩიჩს, სერბეთის პრეზიდენტს.

აღსანიშნავია, რომ ეს გახლავთ სერბული მხარის პირველი საპრეზიდენტო ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, რაც შეიძლება შეფასდეს, როგორც გარდამტეხი მნიშვნელობის მოვლენა ჩვენი ორმხრივი ურთიერთობებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი ახალ იმპულსს შესძენს ქართულ-სერბულ ურთიერთობებს, ამ ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას ყველა მიმართულებით.

საქართველოსა და სერბეთს შორის ურთიერთობები ემყარება მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და ხალხთაშორისი კავშირების ხანგრძლივ ტრადიციებს. გარდა ამისა, ჩვენს ქვეყნებს აკავშირებს მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული მემკვიდრეობა და საერთო ფასეულობები. ამ კუთხითაც ხაზი უნდა გაესვას ბატონი პრეზიდენტის განსაკუთრებულ ძალისხმევას იმისათვის, რომ სერბეთმა მტკიცედ იზრუნოს საკუთარი რელიგიური და ეთნიკური იდენტობის დაცვაზე, რაც განსაკუთრებულად დასაფასებელია, განსაკუთრებით, თანამედროვე გლობალური გამოწვევების პირობებში. ეს ღირებულებითი კავშირი კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებს და ქმნის ახალ იმპულსს და ძალიან მნიშვნელოვან იმპულსს ჩვენი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის.

ჩვენი ქვეყნები და ჩვენი ხელისუფლებები ძალიან კარგად აცნობიერებენ სუვერენიტეტის დაცვის ფუნდამენტურ მნიშვნელობას. მინდა, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ბატონი პრეზიდენტის მიმართ, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის. ასევე, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველო, ბუნებრივია, არის სერბეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის ძალიან მტკიცე მხარდამჭერი.

●

მოხარული ვარ, რომ დღეს გვქონდა შესაძლებლობა, დეტალურად გვესაუბრა ორმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგის საკვანძო საკითხებზე და განგვეხილა ჩვენი კავშირების, თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ პოლიტიკური დიალოგის მნიშვნელობას. სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში უმაღლესი დონის კონტაქტები უფრო ინტენსიური გახდა. უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია სერბეთის რესპუბლიკის გადაწყვეტილება თბილისში საელჩოს გახსნის შესახებ. დარწმუნებული ვარ, დიპლომატიური წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს

ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

●

შეხვედრაზე ვისაუბრეთ სავაჭრო-ეკონომიკურ და დარგობრივ თანამშრომლობაზეც, აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით არსებობს დიდი პოტენციალი, რომელიც სრულად უნდა იქნას ათვისებული, ასევე ყურადღება გავამახვილეთ სატრანსპორტო და ლოგისტიკური კავშირების განვითარების მნიშვნელობაზე, საქართველო, „შუა დერეფნის“ განუყოფელი ნაწილია და მზად ვართ, გავაღრმაოთ პარტნიორობა სერბეთთან, რათა სრულყოფილად იყოს გამოყენებული ევროპასა და აზიას შორის არსებული სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი.

უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს დიდი წარმატება ამ პროცესში, რამდენიმე საკითხია შესათანხმებელი და ამის შემდეგ უკვე ორივე მხარე მზად ვიქნებით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისთვის, რაც ორმხრივად სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის და ასევე ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისთვის. ეს შეთანხმება შექმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის, ხელს შეუწყობს სავაჭრო ბრუნვის ზრდას ქვეყნებს შორის, ინვესტიციების მოზიდვას ორივე მხარეს და ეკონომიკური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას.

●

დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ვიზიტი და გამართული შეხვედრები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველო-სერბეთის ურთიერთობების წინსვლაში და შექმნის ახალ შესაძლებლობებს ჩვენი ხალხებისა და საერთო ინტერესების საკეთილდღეოდ.

კიდევ ერთხელ მსურს, უღრმესი მადლობა გადავუხადო სერბეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ალექსანდარ ვუჩიჩს საქართველოში ჩამობრძანებისთვის და მუდმივი მხარდაჭერისთვის, რომელსაც მისი ლიდერობით სერბეთის რესპუბლიკა ავლენს ჩვენი ქვეყნის მიმართ, საქართველოს მიმართ. მადლობა მას ამისთვის. სერბ ხალხს მინდა, ვუსურვო წინსვლა, წარმატება და ყოველივე საუკეთესო.

ალექსანდარ ვუჩიჩმა საპასუხოდ განაცხადა:

დიპლომატიური კავშირების მიღმა ჩვენს ქვეყნებს აქვს განსაკუთრებული ურთიერთობები. მე ვარ სერბეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, რომელიც ჩამოვედი თქვენს ქვეყანაში და მადლობას გიხდით ასეთი თბილი მიღებისთვის. მადლობას გიხდით ასევე ამ ურთიერთობებისთვის.

საქართველოს ჩვენ ვუყურებთ არამხოლოდ როგორც მეგობარ ქვეყანასა და ერს, არამედ ჩვენ ხანგრძლივი მართლმადიდებლური ტრადიციები გაგვაჩნია და ძალიან მიხარია, რომ მომეცა საშუალება, პატრიარქ შიო მესამესთან მქონოდა ურთიერთობა. ჩვენი ძმური მართლმადიდებლური ურთიერთობა განსაკუთრებულია. ასევე მესმის, რამდენად შორს მიმავალია თქვენი ხედვა სამომავლოდ. ჩვენ მეგობრები ვართ და ყოველთვის პატივს ვცემთ ერთმანეთს. გვქონდა შეხვედრები, სხვა ღონისძიებები, სადაც ძალიან თბილად ვურთიერთობთ. ჩვენ ყოველთვის გვესმის ერთმანეთის, იმ პოლიტიკის, რასაც ვახორციელებთ ჩვენს ქვეყნებში. მიხარია სერბეთის შედეგები და ვამაყობ იმითაც, რასაც თქვენ მიაღწიეთ, 2012 წლიდან დღემდე საქართველომ საოცარი შედეგები აჩვენა. ამას ვსაუბრობ სერბეთის სახელით, სერბეთის რესპუბლიკა აღიარებს თქვენს მიღწევებს. ზოგი ამას აღიქვამს ისე, რომ თავისთავად ასე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. სერბეთში ყველამ იცის, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი პირველ კვარტალში იყო 9.3 %. ჩვენ ვიცით, რომ ევროპას მსგავსი მაჩვენებელი არ გააჩნია და ჩვენც ვამაყობთ თქვენი ამ შედეგით. როდესაც პირველი კვარტალი დაჯამდება, ჩვენც ვნახავთ, რა მაჩვენებლით გაიზარდა ჩვენთან ეკონომიკა, მაგრამ ვხედავთ საქართველოში რამხელა წინსვლაა და რა ტემპი აქვს საქართველოს განვითარებას. დასავლეთში ვამბობთ, რომ დასავლეთ ევროპაში ასეთი ტენდენცია რომ არსებობდეს, ასეთი ტემპი რომ იყოს ეკონომიკური განვითარების, საოცარი იქნებოდა.

ვამაყობ იმით, რაც ხდება საქართველოში, ძალიან მიხარია თქვენი მიღწევები და ბევრს ვსწავლობ თქვენგან. 12 % იყო მშენებლობის დარგში ზრდის მაჩვენებელი საქართველოში, ესეც განსაკუთრებული მაჩვენებელია, ტურიზმშიც ძალიან მაღალი იყო ზრდა. ჩვენ ვხედავთ, სად შეიძლება ვისწავლოთ თქვენგან, რაზე უნდა ვიმუშაოთ სერბეთში უფრო მეტად, რომ თქვენს მაჩვენებლებს მივუახლოვდეთ.

●

მადლობას ვუხდი საქართველოს იმ მიღწევისთვის, რომელიც ეროვნული პოზიციის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის დაცვის მიმართულებით აჩვენა. ძალიან ბევრი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც ძალიან გაკვირდებათ, ყურადღებით სწავლობს საქართველოში არსებულ მიდგომებს და ისინი ცდილობენ, რომ გაუმჯობესდნენ.

●

პირველ კვარტალში 36.4% იყო ორმხრივი ვაჭრობის მიმართულებით ზრდა. სერვისები, ტურიზმი - ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს წინსვლა, იმიტომ, რომ პირდაპირი ფრენები არსებობს. ეს მაჩვენებელი იზრდება სერბი ტურისტების საფუძველზე. ვისურვებდი, რომ ბევრი ქართველი ტურისტი ჩამოდიოდეს სერბეთში. თბილისში ჩამოსვლა არის დიდი სიამოვნება და ველი, რომ ქართველი ბიზნესმენები ჩამოვლენ სერბეთში და ნახავენ იმ შესაძლებლობებს, რაც არსებობს ქვეყანაში.

ჩვენ ვისაუბრეთ ბევრი მიმართულებით და ხედვაც ძალიან დიდი გვაქვს. ჩვენ გვექნება საშუალება, რომ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება გავაფორმოთ. ეს განსაკუთრებული აქცენტია ჩვენს ურთიერთობებში. ამის საფუძველზე მოხდება დაჩქარება ურთიერთობების ზრდის. ეს ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არის ის საკითხი, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ. დაგვრჩა სულ მცირე, რომ დავასრულოთ ამაზე მოლაპარაკებები და დავიწყოთ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აქტიური ვაჭრობა. ამ შეთანხმებით ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველოდან შემოდის კომერციული არხებით ძალიან ბევრი სერვისი. წარმოიდგინეთ, რამდენად გაიზრდება იმპორტი საქართველოდან ამ თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების შემდეგ. ჩვენი წვდომა იქნება შეუზღუდავი. მომხმარებლები სერბეთში დიდად ისარგებლებენ ასეთი მნიშვნელოვანი იმპორტით საქართველოდან. მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის ეს ორმხრივად მნიშვნელოვანი იქნება.

მიხარია, რომ ძალიან მალე საქართველოში გაიხსნება სერბეთის საელჩო. იმედია, მსგავსი გადაწყვეტილება იქნება მიღებული საქართველოს საელჩოს გასახსნელად სერბეთში. ამით მხარს დავუჭერთ ჩვენს ურთიერთობებს, მათ განვითარებას. ასეთი მაღალი კალიბრის ინტეგრაცია იქნება მნიშვნელოვანი. ჩვენ ამით სერბეთის და საქართველოს ინტერესებს კიდევ უფრო მყარად დავუჭერთ მხარს და ძალიან კარგი იქნება ორივე მხარისთვის.

●

ჩემთვის საოცარი იყო აღმომეჩინა, რომ ღვინის მიმართულებით ტურიზმის გარდა, თქვენ სათხილამურო ტურიზმიც გქონიათ. ეს ჩემთვის სიახლე იყო. ეს თქვენი სათხილამურო ინფრასტრუქტურა ევროპის ინფრასტრუქტურის მსგავსია, ბევრს უყვარს საქართველოში ჩამოსვლა, ბევრს უყვარს საქართველო მრავალი მიზეზის გამო. კიდევ ერთხელ მინდა, საქართველოს ვუსურვო დიდი წარმატება მომავალში. ძალისხმევა ნამდვილად შესაშურია. თქვენი ძალისხმევა არის ნამდვილად დიდი და მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს ისეთი შედეგის დადება ევროპაში, რაც თქვენ გაქვთ და ეს მთლიანი შიდა პროდუქტის წილი იქნება თუ სხვა მაჩვენებელი, ძალიან საამაყოა. ვისურვებდი, რომ მსგავსი წარმატება ყველა მიმართულებით ჰქონოდეს ჩემს ქვეყანას.

დიდი მადლობა ასეთი თბილი მიღებისთვის და იმედი მაქვს, რომ თქვენც, როდესაც ჩვენთან ჩამობრძანდებით, სახლში გაგრძნობინებთ თავს. ძალიან დიდი მოგონებები მიმყვება თბილისიდან, მადლობა მეგობრობისთვის და ჩვენი ერების ასეთი ურთიერთობებისთვის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ სპარსეთის ყურეში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა: მივესალმებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმზე მიღწეულ შეთანხმებას.

ვაფასებთ მედიაციის ძალისხმევას, რამაც ხელი შეუწყო ამ ურთიერთგაგების მისაღწევად საჭირო პირობების შექმნას.

იმედს ვიტოვებთ, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამოიწვევს ყოვლისმომცველი სამშვიდობო შეთანხმების დადებასა და კონფლიქტის ხანგრძლივ მოგვარებას.

საქართველო-ყირგიზეთის შეთანხმება მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას არ ემსახურება

პრემიერის ვიზიტი ყირგიზეთში „საერთო გაზეთთან“ პოლიტოლოგმა დავით ჩიხელიძემ შეაფასა.

- ბატონო დავით, საქართველო და ყირგიზეთი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. რამდენად მნიშვნელოვანია კობახიძის ეს ვიზიტი?

- ირაკლი კობახიძის ვიზიტი ყირგიზეთში მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ დატვირთვას ატარებს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ევრაზიულ სივრცესა და სატრანსპორტო დერეფნების განვითარებას. ვიზიტის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ ეს ორ ქვეყანას შორის უმაღლეს დონეზე განხორციელებული პირველი ოფიციალური ვიზიტია, რაც ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას ნიშნავს.

გლობალურ კონტექსტში, ცენტრალური აზია საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონად ჩამოყალიბდა. რეგიონით დაინტერესებული არიან როგორც ჩინეთი, ასევე ევროკავშირი, თურქეთი და სხვა მსხვილი ეკონომიკური მოთამაშეები. ასეთ პირობებში საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას, რადგან ჩვენი ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი რგოლია. ყირგიზეთთან თანამშრომლობის გაძლიერება სწორედ ამ სტრატეგიის ნაწილია.

ლოკალურ დონეზე ვიზიტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საქართველო ცდილობს, გააფართოვოს პარტნიორთა წრე და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები შექმნას. ორი ქვეყნის ლიდერების მიერ მიღწეული შეთანხმებები და ხელმოწერილი დოკუმენტები ქმნის იმის საფუძველს, რომ ურთიერთობები პოლიტიკური დიალოგის ფორმატს გასცდეს და პრაქტიკულ ეკონომიკურ შედეგებშიც აისახოს. შესაბამისად, ვიზიტი შეიძლება შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს რეგიონული როლის გაძლიერებისა და ცენტრალურ აზიასთან თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების შექმნის მიმართულებით.

- რა გავლენას მოახდენს საქართველოზე პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ეს შეთანხმება?

- პოლიტიკური თვალსაზრისით, შეთანხმება ხელს შეუწყობს საქართველოს პოზიციების განმტკიცებას ცენტრალურ აზიაში და კიდევ უფრო გააძლიერებს ქვეყნის როლს რეგიონულ თანამშრომლობაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თანამედროვე საერთაშორისო გარემო მრავალპოლუსიანობისკენ ვითარდება და სახელმწიფოები ცდილობენ, პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა რეგიონთან განავითარონ. ასეთ პირობებში საქართველოსთვის სასარგებლოა მეგობრული და სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბება ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, მათ შორის, ყირგიზეთთან. ამასთან, ყირგიზეთის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ქვეყნისთვის დამატებითი პოლიტიკური კაპიტალია საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ეკონომიკური თვალსაზრისით, შეთანხმების პოტენციალი განსაკუთრებით დიდია. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ე. წ. შუა დერეფნის როლი, რომელიც აზიასა და ევროპას ერთმანეთთან აკავშირებს. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას აძლევს ჩვენს ქვეყანას, ამ მარშრუტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყოს.

ყირგიზეთთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავება, ასევე, ჩინეთ-ყირგიზეთ-უზბეკეთის სარკინიგზო პროექტის განვითარება, ზრდის შანსს, რომ საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია კიდევ უფრო გაძლიერდეს, რაც დამატებით ტვირთბრუნვას, შემოსავლებსა და ინვესტიციებს მოიტანს.

გარდა ამისა, თანამშრომლობის გაფართოება ხელს შეუწყობს სავაჭრო ბრუნვის ზრდას, ბიზნესკავშირების გაღრმავებასა და ახალი ბაზრების ათვისებას. მნიშვნელოვანია ტურიზმის მიმართულებაც, რადგან პირდაპირი ავიამიმოსვლის ამოქმედების შემთხვევაში, გაიზრდება როგორც ტურისტული ნაკადები, ისე ადამიანებს შორის კონტაქტები, რაც, საბოლოოდ, ეკონომიკურ აქტივობაზე დადებითად აისახება.

საერთო ჯამში, საქართველო-ყირგიზეთის შეთანხმება მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას არ ემსახურება. ის საქართველოს უფრო ფართო სტრატეგიის ნაწილია, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის როლის გაძლიერება ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ ეკონომიკურ და სატრანსპორტო ცენტრად, რაც როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენს გრძელვადიან ინტერესებს პასუხობს.

ნაზი ბერიძე

გაუქმდება თუ არა უვიზო მიმოსვლა?

ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის გაუქმების თაობაზე „საერთო გაზეთი“ პოლიტოლოგ თორნიკე შარაშენიძეს ესაუბრა.

- ბატონო თორნიკე, საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნეს, რომ სავიზო დიალოგის ფარგლებში განიხილეს უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ამოქმედებისთვის ევროკავშირის მხარის მიერ დასახელებული მიზეზები, ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და საქართველოს მიერ მათი შესრულების მიმართულებით განხორციელებული თუ მიმდინარე ღონისძიებები. რა მოიტანა ამ ტექნიკურმა შეხვედრამ?

- არ ვიცი, რა მოიტანა ამ შეხვედრამ, მე ხომ იქ არ ვიყავი, მაგრამ არა მგონია, რომ ამ ტექნიკურ შეხვედრაზე ვიზალიბერალიზაციის საკითხი ყოფილიყო დღის წესრიგში. იქ სხვა რაღაცაზე იყო საუბარი. ყველა ეს შეხვედრა ეხება ვიზალიბერალიზაციას, მაგრამ მე მგონი, აქ, მხოლოდ დიპლომატებისთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებაზე იყო საუბარი.

- ესე იგი, ვიზალიბერალიზაციის გაუქმების საფრთხეები არ არსებობს?

- ამ ეტაპზე, არა მგონია, რადგან შარშან უფრო დაძაბული ვითარება იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის, ვიდრე ახლა და შარშან თუ არ შეუჩერებიათ, წელს არა მგონია, შეჩერდეს.

- რას მოიმოქმედებს ოპოზიცია თუ ვიზალიბერალიზაცია გაუქმდა?

- არ ვიცი, გამოვა ქუჩაში, სხვა რა უნდა ქნას.

- როდის შეიძლება დავკარგოთ ეს ისტორიული მონაპოვარი?

- არა მგონია, ეს მოხდეს. არ ვიცი, რატომ მიდის ამაზე ასეთი აქტიური საუბარი. მართალია, გამორიცხული არაფერია, მაგრამ მე ჯერჯერობით, ვიზალიბერალიზაციის გაუქმებას არ ველოდები.

ნაზი ბერიძე

„საერთო გაზეთის“ შვილიშვილებს, ჩვენს ძვირფას უმცროს მეგობრებს, ხარჩილავების ოჯახის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს, ნიჭიერ და მრავალმხრივ, სიმპათიურ და საყვარელ ტყუპებს

ნიტა და ვატო ხარჩილავებს

ვულოცავთ მეთექვსმეტე დაბადების დღეს.

ვუსურვებთ წარმატებებს, სიკეთეს, სიყვარულს...

დაე, მათი ცხოვრების გზა საინტერესო წიგნის ფურცლებივით მრავალფეროვანი ყოფილიყოს, ყველა მიზნისთვის მიეღწიოთ და ყოველთვის გვერდით ჰყავდეთ ოჯახის უფროსი წევრები, რომლებიც მათ სიხარულსა და მიღწევებს გაიზიარებენ.

„საერთო გაზეთი“

დებატები

სინამდვილეში ლექციების კურსის გაგრძელება

8 ივნისს „რუსთავი-2“-ის ეთერში კიდევ ერთი დებატების მოწმენი გავხდით, სადაც ე. წ. ოპოზიციამ კიდევ ერთხელ (დიდი სირცხვილი ჭამა. ერთ მხარეს იყვნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნიკოლოზ სამხარაძე, ხოლო მეორე მხარეს - გიორგი შარაშიძე (პარლამენტარი გახარიას პარტიიდან), სანდრო რაქვიაშვილი („გირჩელი“), ნიკა ჩიტაძე (პოლიტოლოგი) და ცოტნე კობერიძე (პოლიტიკოსი). ეს უკანასკნელი რატომ არის პოლიტიკოსი, ამას ვერ გეტყვით. ერთხანობას გირჩ ზურაბასთან „მოღვაწეობდა“, მერე წამოვიდა და სახლშია, რატომღაც ჩამოტარებითაა სტუდიიდან სტუდიაში.

მოკლედ, ეს დებატები, უფრო სწორად, ირაკლი კობახიძის ლექცია ე. წ. ოპოზიციისთვის საინტერესო და დამაინტრიგებელი აღმოჩნდა. სულ რჩება შთაბეჭდილება, რომ ე. წ. ოპოზიციონრები სადებატოდ მიდიან მოუმზადებლები, საკითხებში ან საერთოდ ვერ ერკვევიან, ან კიდევ ზერელედ ერკვევიან. ამჯერად მეტიც მოხდა, ისინი ირაკლი კობახიძემ მონუსხა თავისი ცოდნით და მომზადებით, დასხა სტუდიაში ოროსანი მოწაფეებივით, ერთი რაქვიაშვილი ფართხალებდა და ბოლოს ისიც დანებდა.

„გახარიელი“ გიორგი შარაშიძე თავიდანვე გადავიდა ე. წ. შეტევაზე, უფრო სწორად, უნდოდა შეტევაზე გადასვლა და კობახიძე ღალატში დაადანაშაულა;

სანდრო რაქვიაშვილმა არეულად დაიწყო, ხან მოლდოვას გადასწვდა, ხან უკრაინას, თან აქეთ გადმოვიდა, მერე ისევ იქით გადავიდა, თურმე ევროკავშირი ომში გვითრევდაო, ვითომ აქამდე არ გაუგია. რაქვიაშვილმა სცადა, კობახიძე „გაენათლებინა“ და იმის ახსნა დაუწყო, როგორი მრავალფეროვანია ევროპა. თურმე ევროკავშირში გაერთიანებულნი არიან სხვადასხვანაირი ქვეყნები

და მათ მხოლოდ ერთი რაღაცა აერთიანებთ - იქ არ არის ერთპიროვნული მმართველობა. თურმე ჩვენი პოლიტიკური სისტემა შეუთავსებელია ევროკავშირთან, გესმით? მიხეილ სააკაშვილის დროს პოლიტიკური სისტემა შეთავსებული იყო ევროკავშირთან და ამიტომაც ხმას არავინ იღებდა.

შარაშიძემ მაგარი „სკანდალი“ გააგორა (დაახლოებით ისეთი, შავნოდარა რომ გააგორებს ხოლმე), კახა კალაძემო, თბილისის მერმაო, მთელი ცივილიზებული მსოფლიოსგან დასანქცირებული რუსული კომპანია „კამაზისგან“ შეიძინა 5 მილიონი ლარის ღირებულების „კამაზები’;

როგორ მიიღო საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი? აი, აქ იწყება ე. წ. ოპოზიციონრების გაფარჩაკება, გთავაზობთ კობახიძის სიტყვიდან ამონარიდებს:

„თქვენ სიტუაციას ისე ხატავთ, თითქოს ოპოზიცია თავგამოდებით მუშაობდა კანდიდატის სტატუსის მისაღებად. ჩვენ გადავწყვიტეთ 2022 წლის მარტში კანდიდატის სტატუსზე განაცხადის შეტანა. ჩაერთო სახელმწიფო სამსახური, უამრავი ადამიანი, დავწერეთ 5-ათასგვერდიანი დოკუმენტი, გავაგზავნეთ ევროკავშირში და ვინაიდან ყველა ქვეყანას ვასწრებდით, მოლდოვასაც, უკრაინასაც, უნდა მოენიჭებინათ სტატუსი. მანამდე ენჯეოები გამოდიოდნენ და ეგ დოკუმენტი ჩვენ უნდა დავწეროთო, სრულ აბსურდს ამბობდნენ. რაც ყველა ქვეყანაში იწერებოდა ხელისუფლების მიერ, ამაზე იძახდნენ, ენჯეოებმა უნდა დაწერონო. ესე იგი, ევროპიდან და აშშ-დან დაფინანსებულ ენჯეოებს თავიანთი თავისთვის უნდა დაეწერათ დოკუმენტი. ასეთ აბსურდში ვიყავით და ოპოზიციაც მხარს უბამდა, ამათ უნდა დაწერონო. კარგი, გავიტანეთ ეს ყველაფერი, დავწერეთ განაცხადი და ამ დროს ოპოზიცია გამუდმებით აცხადებს, რომ საქართველოს არ ეკუთვნის კანდიდატის სტატუსი. ასევე აცხადებდნენ უცხოეთიდან დაფინანსებული ენჯეოები. ამაზე არავინ გამოვიდა და არ გააკრიტიკა, ეს რას ნიშნავდა? ყველა იზიარებდა ამას, ყველას უნდოდა რადიკალურ ოპოზიციაში, რომ საქართველოს არ მინიჭებოდა კანდიდატის სტატუსი. აპრილში შეიკრიბნენ ბაკურიანში და დაგეგმეს რევოლუცია იმაზე დაყრდნობით, რომ ივლისში არ უნდა მოგვნიჭებოდა სტატუსი. კარგი, წამოვიდეთ აქეთ, არ მოგვცეს სტატუსი, მოგვცეს 12 პუნქტი და ვთქვით, რომ ვასრულებთ ამ 12 პუნქტს, შევქმენით სამუშაო ჯგუფები პარლამენტში, ამ დროს გადაინაწილეს როლები რადიკალურ ოპოზიციაში, 2 თუ 3 პარტია შემოვიდა ჯგუფებში, დანარჩენები არ შემოვიდნენ და იქაც საბოტაჟი, წელიწად-ნახევარი ერთხმად ლაპარაკობდნენ, რომ საქართველო ლო არ იმსახურებდა კანდიდატის სტატუსს. როცა მოგვენიჭა სტატუსი, იმის მერეც ამას ამბობდნენ. გახსოვთ მესიჯები, რომ ხალხს მიანიჭეს და არა ხელისუფლებას. ასეთი რამე არ ხდება, თუ ხელისუფლებას არ უნდა, კანდიდატის სტატუსს ვინ მოგანიჭებს? შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი, მოლაპარაკებების ახალი ეტაპი, ერთი წელიწადი მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ საქართველო არ იმსახურებდა მოლაპარაკების გახსნას. ყველა ამას აცხადებდა სალომე ზურაბიშვილის ჩათვლით.

თუ ეს სტატუსი შენი ოცნებაა და გინდა ევროინტეგრაცია, როგორ შეიძლება, 3 წელი იმაზე ილაპარაკო, რომ არ უნდა მოგენიჭოს?

შეკითხვა მაქვს ოპოზიციასთან: მარტო რომ ვიბრძოდით და ვიძახდით, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება არ შეიძლებაო, მოხალისეების გაგზავნა ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ ინტერესებსო, ერთი მათგანი გამოვიდა? სად იყო მაშინ თქვენი პატრიოტიზმი? სად იყო ქვეყნის სიყვარული? ერთი მაინც გამოვიდა და გვერდში დაუდგა ხელისუფლებას? ერთი თქვენგანი გამოხვედით და დაგვიდექით გვერდში?

ამერიკის მაშინდელი ელჩი შალვა პაპუაშვილთანაც იყო მისული, სანქციებს ითხოვდა. უკრაინაში ორი თვითმფრინავი გაუშვით და მეტი არ მინდაო. ამ შეხვედრას მეც ვესწრებოდი. ერთადერთი ქვეყანა იყო საქართველო, სადაც უკრაინაში ომის დაწყებისთანავე დაიწყო აქციები. რას ითხოვდნენ? 24 თებერვალს ომი დაიწყო, მარტში გამოვიდა ზელენსკი, საქართველოდან გაიწვია ელჩი ორი მიზეზით - სანქციები რატომ არ დაუწესეთ რუსეთს და რატომ არ გამოაგზავნეთ მოხალისეები უკრაინაშიო. ამას როგორ გამოეხმაურა ოპოზიცია? შეიძლება არ დაგმო, მაინც ომშია ქვეყანა, მაგრამ ხომ შეიძლება, გამოხვიდე და არასწორი უწოდო? ომის საფრთხეზე იყო საუბარი, ერთი კაცი მაინც გამოვიდა“?

სტუდიაში მჯდომი ე.წ. ოპოზიცია გამოლენჩდა. მაგათ გამოლენჩება არც ისე აკლიათ, მაგრამ ახლა მთლად გადაეშვნენ მდუმარებაში. ერთი რაქვიაშვილმა წამოიკნავლა, ჩვენ როდის მოგთხოვეთ, რომ ომში ჩართულიყავითო? საქართველოდან უამრავი მოხალისეა წასული, მაგრამ ამას ჩვენი ქვეყნისთვის პრობლემები არ შეუქმნიაო.

ღმერთოოოო!

ამას ოპოზიციონერი ჰქვია და იმასაც ვერ ხვდება, რომ ხელისუფლების მიერ მოხალისეების გაგზავნა ოფიციალურად ომში ჩართვას ნიშნავს. არა, ვერ ხვდება, ვერ იგებს, ესეც ტყემლის ხეზე ხის.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ გაზეთი მეტს ვეღარ იტევს. თუმცა ზოგადი სურათის შექმნა იმაზე, თუ რა დღეშია ჩვენი ე. წ. ოპოზიცია აქედანაც შესაძლებელია. ერთი რა მაგის პასუხია და... ეს ნიკა ჩიტაძე რისთვის მიიყვანეს სტუდიაში? ერთხელ მისცეს სამი წუთით სიტყვა და მაშინაც მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, რუსეთი ოკუპანტიაო. ჰო, კაცო, ჰო, გავიგეთ, რუსეთი ოკუპანტია, მერე?

ამ დებატების, სინამდვილეში კი ლექციების კურსის გაგრძელება 13 ივნისს ტელე „იმედის“ ეთერში ამჯერად მამუკა მდინარაძეს ერგო წილად. მას ეხმარებოდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი არჩილ გორდულაძე.

მოკლედ, ამ დებატებში გამოიკვეთა ორი სკანდალური თემა: პირველი - ვინ დააფინანსა 40 მილიონი ლარით ნიკა გვარამია. იაგო ხვიჩია ამტკიცებდა, რომ იგი ამ ფასად ბიძინა ივანიშვილმა მოისყიდა. მამუკა მდინარაძის თქმით კი, მისთვის 40 მილიონი „ოცნებას“ არ გადაუხდია, ის დააფინანსა უცხოეთმა.

მეორე სკანდალი მამუკა მდინარაძის ნათქვამს დაუკავშირეს, რომელსაც ე. წ. ოპოზიციამ სულ სხვანაირი „კუდი“ გამობა: ბიძინა ივანიშვილი მოწყვლად რეჟიმში კი არა, პრაქტიკულად ნახევარი მსოფლიოს მიერ დასანქცირებულია, 2 მილიარდი გაუჩერეს კაცს. მკვლელობაც შეიძლება იყოს მის წინააღმდეგ დაგეგმილი და მკვლელობა კი არა, ფიზიკურ განადგურებას კი არა, ყველანაირ განადგურებას შეეცდებიან ყოველთვის. იცით, რომ მოწყვლადია ყველა ადამიანი, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტი შეიძლება იყოს რაღაცა ფორმით. ბიძინა ივანიშვილის დონის კი არა, ელემენტარულად ერთი აგურის დამდები, საკუთარი სამშობლოს დამოუკიდებლობის საქმეში, შეიძლება იყოს მოწყვლადი, რადგან შეიძლება ვიღაცამ გააგოროს, უკაცრავად ამ გამოთქმისთვის“.

ე. წ. ოპოზიციამ ნათქვამი გადაიკეთა, თავის აბურდულ პრიზმაში გაატარა და საკუთარ „ფანებს“ ისე შესთავაზა, თითქოს მამუკა მდინარაძემ ივანიშვილის „გაგორება“ ისურვა თუ იწინასწარმეტყველა. გია ხუხაშვილმა ისიც კი თქვა, აწი ბიძინა ივანიშვილს იმისი უნდა ეშინოდეს, ვინც ქვეცნობიერად მის გაგორებაზე ილაპარაკაო.

გამზარდია შეეცადა, საუბარი ფილოსოფიურ ჭრილში გადაეყვანა, მაგრამ კაი აჯაფსანდალი კი გამოუვიდა, თვითონვე ვერ გაიგო, რა თემაზე ლაპარაკობდა და დანარჩენი ე. წ. ოპოზიციონრებიც ძაან ბუნდოვანებაში შეიყვანა.

ვამბობ, მოემზადეთ, სანამ კობახიძესთან და მდინარაძესთან საპაექროდ მიხვალთ-მეთქი, მაგრამ მომზადება ვითომ რამეს იზამს?

გელა ზედელაშვილი

აურზაური ლენინივით გაშოტილი „ნაცმოძრაობის“ გარშემო

დამარხვა რომ არ ეღირსა

ამჯერად იმაზე უნდა მოგითხროთ, როგორ თხრის ისედაც გაუბედურებული „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარ სამარეს და როგორ უწყობს ხელს ამას „დილეგში“ მყოფი მიხეილ სააკაშვილი. მას შემდეგ, რაც მიხეილმა და ნიკანორ მელიამ ერთმანეთს აფურთხეს, ახლა ნიკუტა გვარამია დაეტაკა არა მხოლოდ სააკაშვილს, „ნაცმოძრაობასაც“ და პირდაპირ ეთერში დაიჩივლა, მე „ნაციონალები“ არაეთიკურად მექცევიან, ნიკუტას და ქათამს მეძახიანო, ეგენი ამ მხრივ „ქოცებს“ შეუერთდნენო. ამის შემდეგ გვარამიამ სააკაშვილის იმ განცხადებას უპასუხა, სადაც ვადამდელ არჩევნებს ბუტაფორია უწოდა:

„სააკაშვილი წერს ციხის საკნიდან, რომ არჩევნები ბუტაფორიაა და შეიძლება რევოლუციაზე ლაპარაკობს ძირითადში. მორჩეს „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარი თავისგან მსხვერპლის ძერწვას, არ შეიძლება, ხელისუფლების შეცვლა გინდოდეს და ამბობდე, რომ ყველას მსხვერპლი ხარ ერთდროულად“.

ჩხუბი ისე არ იქნება, თამარა ჩერგოლეიშვილი რომ არ გამოეკვეხოს და აქაც ეგრევე „გაიჩითა“:

„მიშა გვკიდია, თავი დაგვანებოს, უჩემოდ არაფერი გამოვაო, უფრო სწრაფად გამოგვივა, მიშა, ამდენი ხანიც გამოგვივიდოდა, შენ რომ მაოხრებელი გზირი არ ყოფილიყავი“.

ატყდა ამბავი, იქით ანი წითლიძე დაეტაკა გვარამიას, შენ სააკაშვილის მოკავშირე და იდეოლოგი იყავი, ბოლოს კი მაინც გადაცმულ „ჩერგოდ“ მოგვევლინეო. სხვათა შორის, „მთავარში“ 88 ათას ლარს რომ იწერდი ხელფასად, ეგ როგორღა იყოო? ჩვენი დაპირისპირება მაგ ფაქტიდან დაიწყოო. აქეთ არც გვარამიამ დაუხვალია, წითლიძე შეუმდგარი პოლიტიკოსია, „პლინტუსს“ ვერ ასცდაო. ეს ის შემთხვევაა, როცა ყვავმა ყვავს უთხრა, „ზაგარი“ სად მიიღეო, მაგრამ მაინც კარგია.

მაია ორჯონიკიძე გამოიყვანეს „აჭარის ტელევიზიით“ და თქვა, მიშა ხელშეუხებელია, უნდა გამოვიყენოთ მისი უნიკალური შესაძლებლობებიო, მელია არ ეპიტნავება. მერე ვინმე დავით ნებიერიძე დაუდგა მელიას ადვოკატად, რას ამბობთ, მელიამ კი არ დაშალა აქციები, სააკაშვილმა მოიწერა წერილი, დაშალეთო. ეს წერილი საკუთარი თვალით ვნახეო.

სააკაშვილს ამართლებს ვინმე მაია ბაჩანაშვილი, რომელიც სოციალურ ქსელებში ყველაზე დიდ „მიშომანად“ არის ცნობილი. ეს ქალი ამტკიცებს, რომ გვარამია ნიკა გილაურის საშუალებით ბიძინა ივანიშვილმა მოისყიდა, რათა „ნაცმოძრაობა“ დაეშალათ. კი, მაგრამ რაში სჭირდებოდა ივანიშვილს გაფარჩაკებული გვარამიას მოსყიდვა, „ნაცმოძრაობა“ ხომ ისედაც ჩაფეხვილია? ნახეთ, რას წერს და რა დღეშია ვინმე ბაჩანაშვილი:

„ნიკუტამ, ქათამს მეძახიან შენებიო, მიშასთან გვიჩივლა ნიკუტა გვარამიამ. დავიღუპეთ. ახლა კარგად მომისმინეთ, „აჰლეებო“ და ე. წ. ჩერგოსტანის ბინადრებო, რამდენჯერაც მიხეილ სააკაშვილს და „ნაცებს“ აუგად ახსენებთ, იმდენჯერ მოგხვდებათ ცხვირპირში პოლიტიკური პასუხი, გასაგებია?

ოქროს გასაღები არ იცის თურმე, თან გაწითლდა, აიშმუშნა და თავი აარიდა პასუხს. ოქროს გასაღები გილაურია, რომელიც გვარამიასა და ივანიშვილს შორის შუამავლის როლს ასრულებდა იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დაეზიანებინათ და თავად

გამხდარიყვნენ პირველი ოპოზიციური ძალა, რაც საბოლოოდ, მოხდა კიდეც. არც რეზოლუცია ახსოვს. დაავიწყდა საწყალს, რომ სწორედ მან დამალა. ანი წითლიძემ დებატებში გამოიწვია, მაგრამ შეშფოთებული სახით განაცხადა: „არა, ანისთან დებატებში ვერ დავჯდები, ამისთვის მზად არ ვარო.“

რატომ, ნიკუტა? იმიტომ ხომ არა, რომ სიმართლე გამოაშკარავდება და დედა-ბუდიანად მოიცელებით? შენს გაიძვერობას ნამდვილად საზღვარი არ აქვს. როგორ მისწერე ერთ ჩემს მეგობარს? ყველასთან გამსვლია და შენთანაც გამივაო? ხოდა, ჩვენთან არ გაგივა! არც ჩვენთან, არც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და არც მიხეილ სააკაშვილთან. ეს კარგად დაიმახსოვრე“!

აქ რაღა დავამატო? ფაქტობრივად, ნიკუტა გვარამია „ნაცებმა“ ბოლომდე გაწირეს. როგორც ჩანს, მათ იაგო ხვიჩიას „გზავნილი“ დაიჯერეს, იგი დღენიადაგ აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა შარშან, შარშანწინ თუ იმის წინ 40 მილიონი გადაუხადა და „ნაცმოძრაობის“ გაპარტახება დაავალა. ხალხო, „ნაცმოძრაობას“ თვით „ნაციონალებზე“ უკეთესად ვერავინ გააპარტახებს და აპარტახებენ კიდევაც, 40 მილიონი ნიკუტასთვის რატომ უნდა გადაეხადა? ამათ წესად ექცათ, ყველანი ერთმანეთისკენ იშვერენ თითებს - არა, შენ მოგისყიდა ბიძინამ, არა შენო. დასრულებულია ამათი ამბავი, დასრულებული, მაგრამ მოდით, მაინც ვნახოთ საოცარი ფინალი. აი, ამაზე გითხარით დასაწყისში, არ დაიჯერებთ-მეთქი. მიხეილ სააკაშვილის წერილი „დილეგიდან“ (სტილი დაცულია):

„მე არამხოლოდ ვარცხნილობა შევიცვალე, არამედ ვგეგმავ რადიკალურ ცვლილებებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში. ქართული სახელმწიფოს ინსტიტუტების შემქმნელი ენმ არის მრავალი ათასი გულანთებული, გონიერი, პატრიოტი ქართველის პარტია. ორგანიზაცია რომელსაც უამრავმა ადამიანმა დაუკავშირა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ერთგულ იდეალისტურ ადამიანებს განსაკუთრებული მოფრთხილება და მათი წვლილის დაფასება სჭირდება. პარტიის განახლების მთავარი ამოცანაა დავიბრუნოთ პირველადი ღრმად სახალხო ორგანიზაციის სახე. ყველას დავანახოთ რომ ჩვენ ვართ ყველა ქართველის (როგორც ეთნიკური, ასევე ყველა სხვა საქართველოს მოქალაქის) გაერთიანება და არა ვიწრო- ელიტარული დაჯგუფება. ჩემი, ლევანის სხვა ლიდერების ციხეში ყოფნის პირობებში პარტიას სჭირდება გაცოცხლება, ფუნდამენტური განახლება და გააქტიურება და ამ მიზნით ჩვენ ერთობლივად შევთანხმდით რომ პარტიის რეფორმირებისთვის შემოვიერთოთ ბრწყინვალე ნანუკა ჟორჟოლიანი და მისი შესანიშნავი გუნდი. პირადად მე ნანუკას 25 წელია ვიცნობ. მას არასდროს უღალატია იდეისთვის. ყოველთვის გამოირჩეოდა სახალხოობით და სიმართლისთვის ბრძოლით, უკიდურესი სიმამაცით და ინოვაციურობით. აქვს დიდი ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით და გარეთ და რაც მნიშვნელოვანია აქვს ძალიან სწორი იდეები ფუნდამენტური განახლებებისთვის. ნანუკას აქვს ჩემი სრული ნდობა და მანდატი“.

როგორც კი ბატონ მიხას წერილი წავიკითხე, ეგრევე მივხვდი, მან ნანულას პარტიის თავმჯდომარეობაც შესთავაზა, სხვანაირად თინა ბოკუჩავას ვერ მოიშორებდა. ჩემი ფიქრი და ვარაუდი ნანულ ჟორჟოლიანმაც დაადასტურა. ახლა ვნახოთ, რას ამბობს იგი:

„მე მომხრე ვარ არა რამის დამატების, არამედ პირიქით - ეფექტური უნდა გახდეს ის, რაც არის. მე მგონია, რომ პარტიას ჰყავს ძალიან კარგი თავმჯდომარე, ჩემზე ჭკვიანი, პოლიტიკურად ჩემზე გამოცდილი, ჩემზე ლამაზი და შესაბამისად, მე ვფიქრობ, თინა ძალიან სწორი კანდიდატია. აქ არის საუბარი იმაზე, ვის რა როლი ექნება. თინა ძალიან კარგად წარმოადგენს პარტიას საგარეო ველზე და აქ არის მეორე - მაშინ, როდესაც ხაბე ციხეშია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია პარტიისთვის და ეს პარტიას ძალიან დაეტყო. მნიშვნელოვანია შიდა ველზე ვინ იქნება პარტიის წარმომადგენელი. მე ჩემს თავს ვხედავ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებ პარტიის რეორგანიზაციას, პარტიის თავიდან შექმნას. იყო ეტაპი, სააკაშვილმა პარტიის თავმჯდომარეობა შემომთავაზა, მე ამაზე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი“.

მდა�ა... ნანულა ამბობს, სააკაშვილმა თავმჯდომარეობა შემომთავაზა, მაგრამ უარი ვთქვიო. უარი რომ არ ეთქვა, ხომ დაახვევდა თინა ბოკუჩავა სახლში? თინას რომ თავმოყვარეობა ჰქონდეს, ახლაც უნდა დაახვიოს, უნდა მიხვდეს, რომ მიხას აღარ სჭირდება. ეს ერთი და მეორეც - იქ, სადაც უწიგნური ნანულა იქნება „უმფროსი“, თინამ რა უნდა გააკეთოს? თან ნახეთ, ნანულას დიდი გეგმები აქვს, პარტიაში რეფორმა უნდა ჩაატაროს და ახალგაზრდები მოიყვანოს.

მე არა მხოლოდ ვარცხნილობა შევიცვალე, რადიკალურ ცვლილებებს ვგეგმავ პარტიაშიო. რომელ პარტიაში? ლენინივით რომ გაშოტილა ე. წ. ქართულ პოლიტიკაში და დამარხვა აღარ ეღირსა? მკვდრის ეგრე წვალება გაგონილა? რა თინა, რომელი ნანულა, სადაური ხაბე? მკვდარია, კაცო, მკვდარი, დაანებეთ თავი!

და ბოლოს... მიხეილ სააკაშვილი „დილეგში“ არ ისვენებს, აცხობს და აცხობს წერილებს, რეკომენდაციებს, მიმართვებს, დეკრეტებს, განცხადებებს. სანამ ამ წერილს დავასრულებდი, ახლა ფილოსოფოს გია ნოდიას გადასწვდა, ჩემ ჯინაზე კოგნიტიური დისონანსი სჭირსო, როგორ ფიქრობთ, 2012-ში ივანიშვილი რომ დამეპატიმრებინა, როგორც ფაშინიანმა დააპატიმრა კარაპეტიანი და სანდუმ პლოხოტნიუკი, ყველა ანგარიში რომ დამებლოკა, მათი მედია ამეკრძალა, „ქოცები“ მაინც გაიმარჯვებდნენო?

ესე იგი, ეს ბლაყვი გონების მქონე აღიარებს, რომ ფაშინიანმა და სანდუმ არჩევნები ძალმომრეობით მოიგეს. კი, ბატონო, ასეა, მათ იძალადეს საკუთარ მოსახლეობაზე. რა თქვა ნოდიამ, რაზე გაუბრაზდა ლიდერი? მან სოციალურ ქსელში დაწერა რუსეთის გავლენებზე სომხეთში, მოლდოვასა და უნგრეთში, ეჭვი არ ეპარება, რომ 2012-ში რუსეთს გაუხარდა ივანიშვილის მოგება, მაგრამ, მისივე თქმით, არც გადამწყვეტი და არც დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსეთი ამ არჩევნებში არ ყოფილა და ახლაც რუსეთი არაა მთავარი მიზეზი, რის გამოც ივანიშვილი კვლავ საქართველოს სულთანია. სააკაშვილი ამბობს, მე რომ ფაშინიანივით და სანდუსავით მოვქცეულიყავ, დიქტატორად გამომაცხადებდნენო. ბოლო დროს ვატყობ, „დილეგში“ მყოფი სააკაშვილი ნანობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ დააპატიმრა, მაგრამ იმას აღარ ამბობს, რომ იმავე ივანიშვილს დაპატიმრების მიზეზი არავისთვის მიუცია, პირიქით, სააკაშვილის ხროვამ ისეთები დაატრიალა, აქეთ იყვნენ დასაპატიმრებლები.

ეს წერილი „გამოჩენილი“ ქართველი პოლიტიკოსის, ანი წითლიძის სიტყვებით უნდა დავასრულო: „ნანუკა ჟორჟოლიანის შემოერთება იქნება „ნაცმოძრაობისთვის“ ახალი სიცოცხლის გახსნა“!

აქ შეგიძლიათ, გაიცინოთ და ტაშიც დაუკრათ, ამხანაგებო!

რა ახალი სიცოცხლე? მოკვდა-მეთქი, მოკვდა!

გელა ზედელაშვილი

ნაცები ქილაში გამომწყვდეულ ვირთხებს დაემსგავსნენ

გვესაუბრება პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე:

— ბატონო პეტრე, ახლახან ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგი გაიმართა, რომელიც ვიზალიბერალიზაციის გაუქმების საკითხს ეხებოდა. როგორ ვითარდება პროცესები?

— რთული სათქმელია, რადგან ევროკავშირში მიმდინარე პროცესები, საბოლოოდ, რა სახეს მიიღებს, თავადაც არ იციან. თუმცა გეტყვით მთავარს: 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 28 ნოემბერს პრემიერმა მნიშვნელოვანი ისტორიული განცხადება გააკეთა: საქართველოს ხელისუფლება 2028 წლის ბოლომდე არ აპირებს, საკუთარი ინიციატივით, ბრიუსელს ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყება სთხოვოს. კობახიძემ ამ პერიოდში ევროკავშირისგან გრანტების მიღებაზეც უარი განაცხადა და იქვე დასძინა, თუ ბრიუსელი გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყებას საკუთარი ინიციატივით შემოგვთავაზებს, ამისთვის დღესვე მზად ვართო. მან განმარტა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, რათა ევრობიუროკრატებს საქართველოს დაშანტაჟების ბერკეტები აღარ ჰქონოდათ, რასაც რეგულარულად იყენებდნენ კანდიდატის სტატუსის მიღების თუ სხვა შემთხვევებში. კობახიძის განცხადებამ ბიუროკრატია არათუ გააბრაზა, არამედ გააცოფა, რის შესახებაც უცხოელი კოლეგებისგან შევიტყვე.

ფაქტი ერთია — მათ დაშანტაჟების ბერკეტები გამოეცალათ და ხელთ მხოლოდ ცილისმწამებლური, დეზინფორმაციით სავსე განცხადებების კეთება და ერთადერთი ბერკეტი შერჩათ — ვიზალიბერალიზაციის რეჟიმის გაუქმებით ჩვენი დაშანტაჟება. უვიზო მიმოსვლის შეჩერებით შანტაჟი ევრობიუროკრატიამ ისეთ დონეზე აიყვანა, თითქოს ამით ჩვენი ქვეყანა დაიქცევა. ეს სასაცილოა. ასეთი რამ არ უნდა იკადრო. ისევე, როგორც გერმანიის ხელისუფლებას არ ეკადრება, როცა გვეუბნებიან, პროგრამული ხარვეზი გვაქვსო და იქ საქართველოს პრეზიდენტად ისევ ზურაბიშვილი მიაჩნიათ. ეს იმას მაგონებს, ბავშვები რაღაცას რომ დააშავებენ და მერე თავის გასამართლებლად სასაცილო ტყუილებს იგონებენ, უფროსები კი ამაზე სიცილით კვდებიან.

წლობით არ ვსარგებლობდით ვიზალიბერალიზაციით, მაგრამ არაფერი დაგვკლებია. ხალხს უნდა ესმოდეს: როცა სუვერენიტეტის, ეროვნული ინტერესების დაცვაზეა საუბარი, უვიზო მიმოსვლა პრიორიტეტი ვერ იქნება.

— ევროკავშირი ვიზალიბერალიზაციით შანტაჟს სააკაშვილის ხელისუფლებაში დასაბრუნებლადაც იყენებს. ამ უკანასკნელმა იმიჯიც შეიცვალა და „ბრწყინვალე ნანუკათი“ გუნდის გადახალისებასაც გეგმავს.

— რადიკალები თავიანთი ტელევიზიებიდან, ასევე, სოცქსელებში აქტიურობენ. ამიტომ მათი მცირე ნაწილი ახერხებს, ამბავი ისე წარმოაჩინოს, თითქოს, უვიზო მიმოსვლის გაუქმებით ქვეყანა თავზე გვენგრევა. დავსვათ შეკითხვა: ნაცების პერფორმანსები მათი მხარდამჭერების რიცხვს ზრდის? — რა თქმა უნდა, არა, პირიქით, შეიძლება კიდეც ამცირებს. სააკაშვილის სასამართლოში გამოსვლებმა მათი რეიტინგი საგრძნობლად შეამცირა, რაზეც თავადაც საუბრობენ. ასე რომ, მიშას და მისი გუნდის განცხადებებს მშვიდად ვუყურებ. „ბრწყინვალე ნანუკას“ პოლიტიკაში მოსვლაზე რა გითხრათ, ხალხი ხარხარებს, თურმე რამხელა პოტენციალის პოლიტიკოსი ჰყოლიათ, აქამდე სად იყვნენ?! ნანუკაზე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ინტერვიუში თქმა არ ივარგებს. დააკვირდით, უკვე ერთმანეთის დაჭმა დაიწყეს. მელია და სააკაშვილი ერთმანეთზე რას აღარ წერენ. სექტანტების გარდა, ვინც ამ პროცესს უყურებს, ხედავს, რომ კოლექტიური ნაცები ისე არიან, როგორც მორიელები ან ვირთხები ქილაში, რომლებიც ერთმანეთს დაერევიან და ჭამენ.

— ევროკავშირი ითხოვს, საქართველომ რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესოს. თუმცა არ ადარდებთ, რუსეთის მხრიდან ამ პოლიტიკურ აქტს რა მოჰყვება?

— ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსულ ტანკს აქ შემოსასვლელად ორმოც წუთზე მეტი არ სჭირდება, რომელიც დღეს არსებულ ადგილამდე სააკაშვილის და ბიძამისის მოყვანილია. ხომ ვიცით ჩვენზე ზემოქმედების მთელი პაკეტი აქვს, რაც კრემლის ხელშია და რაც მიშამ რუსეთს ლანგრით მიართვა. პუტინს შეუძლია ხელი მოაწეროს, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა ჩრდილოეთ ოსეთს, ანუ რუსეთს შეუერთდეს. პუტინმა ამას გავრილოვის ღამის შემდეგ ხელი კინაღამ მოაწერა. ასევე, არ დაგვავიწყდეს აფხაზი სეპარატისტების თხოვნა, აფხაზეთის, რუსეთის და საქართველოს ერთიან სამოკავშირეო სახელმწიფოში ცხოვრების შესახებ. პუტინი ამაზეც დაუფიქრებლად მოაწერს ხელს. რუსეთს შეუძლია, ნებისმიერ დროს, ღამით თავისი ბაზები გადააადგილოს გიუმრიდან, აფხაზეთიდან თუ ცხინვალის რეგიონიდან და საზღვრების დაცვის მოტივით თუნდაც სენაკში, ვაზიანში, ან ახალქალაქში გადმოიტანოს. დასავლეთის რეაქცია რა იქნება? — შეშფოთებული კაია კალასი და ურსულა ფონ დერ ლაიენი განცხადებებს ორ ხმაში გააკეთებენ, სხვა არაფერი. ეს კარგად უნდა გვესმოდეს.

ევროკავშირის მხრიდან ორმაგი სტანდარტი არახალია. ავიღოთ სომხეთი, რომელიც რუსეთს სანქციებს არ უწესებს. სომხეთი საბაჟოზე მონიტორინგის ჯგუფს არ უშვებს — ტვირთები რუსეთში საქართველოს გავლით მიდის და უცხოელებს მონიტორინგის უფლება არ აქვთ, თუნდაც ლარსის საბაჟოზე შეამოწმონ, რას უგზავნის სომხეთი რუსეთს. რამეთუ, სომხეთი ღიად მოქმედებს, ე. წ. პარალელურ იმპორტში ყირგიზეთთან და ყაზახეთთან ერთად. ამისთვის მას ვინმე აკრიტიკებს?! პირიქით, გაჰყვირიან, სომხეთი პირდაპირ ევროპაში მიდისო. რაც შეგვეხება ჩვენ, რუსეთში პროდუქციას თუ ვერ გავიტანთ, ეს საქართველოსთვის ძლიერი დარტყმა იქნება. სამაგიეროდ, ქართული ეკონომიკური სანქციები რუსეთისთვის იგივე იქნება, გზაზე მიმავალ რუსულ ტანკს ქართული პეპელა რომ დააჯდეს. როგორც ტანკი ვერ იგრძნობს პეპელას იქ ყოფნას, ისე რუსეთს არაფერი დააკლდება ჩვენი დაწესებული სანქციებით, სამაგიეროდ, საქართველო გვარიანად დაზარალდება. წარმოიდგინეთ, როგორი პროვოკატორი, უსამართლო, ნამუსგარეცხილი უნდა იყო, რომ იმ ყველა საფრთხის ფონზე, რაც ჩამოვთვალე, საქართველოს რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესება მოსთხოვო!!! უცხოელი თუ რუსი ჟურნალისტების მიერ ჩატარებული გამოძიებით ხომ გაირკვა, რამდენი უცხოური დიდი კომპანია მუშაობს ფარულად რუსეთში. ავიღოთ თუნდაც ბალტიისპირეთი, საიდანაც რუსეთში მეტი ალკოჰოლური სასმელი შედის, ვიდრე საქართველოდან. გაიხსენეთ, ბალტიის ზღვაში ფლოტმა რამდენი ნავთობპროდუქტი გაზიდა, მილარდებზეა ლაპარაკი. დასავლეთში ამის შესახებ ხომ იციან. ამ დროს ჩვენთან რაღაცას ისეთს ჩხრეკენ, რასაც ჩვენი ქვეყანა არ გააკეთებს, რათა მერე იყვირონ: აი, როგორ იქცევა საქართველოო.

— გარდა ამისა, ევროკავშირი იმასაც გვთხოვს, იმ ქვეყნებს, რომელთანაც თავად უვიზო მიმოსვლა არ აქვთ, უვიზო რეჟიმი ჩვენც გავუუქმოთ. მათ შორის ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიცაა და სომხეთიც.

— ესეც პროვოკაციაა. ეს ის ქვეყნებია, რომლებთანაც გაცილებით მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ადამიანური ურთიერთობები გვაქვს, ვიდრე ევროპასთან. მით უმეტეს, სომხეთთან, სადაც დასავლეთიდან 47 ქვეყნის ლიდერი იყო ჩასული, ევროპის პოლიტიკური ჯერ ამერიკაში ყოფნისას ამბობდა, შეტევაზე უნდა გადავიდეთ და სომხეთის ის მიწები დავიბრუნოთ, რაც ამჯერად თურქეთის შემადგენლობაშიაო. მერე ყარაბაღში ჩავიდა და განაცხადა: ეს არის სომხეთი და წერტილიო, რასაც 2020 წლის შემოდგომაზე კატასტროფა მოჰყვა, როცა ბრძოლის შედეგად ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა, ხოლო აზერბაიჯანმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეძლო. მან ყარაბაღიც წაიღო და ის შვიდი რაიონიც, რომელიც გარშემო იყო, როგორც ბუფერული ზონა. მერე უარესი მოხდა — სომხურმა მოსახლეობამ ყარაბაღიდან გასვლა დაიწყო. ტერიტორია რუსმა საშშვიდობოებმაც დატოვეს და ასე დაიცალა ყარაბაღი მთლიანად. არადა, მთიან ყარაბაღში სომხები საუკუნეების

სამიტი ჩაატარეს და დასჭექეს: ჩათვალეთ, რომ სომხეთი ევროკავშირის წევრიაო. არცერთ მათგანს არ ანაღვლებს, რომ რუსი მესაზღვრეები ისევ აკონტროლებენ სომხეთის და ირანის, სომხეთის და თურქეთის საზღვრებს. თან, იქ არსებული რუსეთის ბაზები ოკუპანტი ქვეყნის კი არ არის, არამედ მეგობრულად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დგას. და, ამ დროს, ჩვენ გვეუბნებიან, სომხეთთან უვიზო რეჟიმი არ უნდა გქონდეთო. ეს ღრმა მარაზმია და კაცმა არ იცის, კიდევ რას მოიგონებენ.

— ევროკავშირი ბოლო დროს აქტიურად საუბრობს, რომ საქართველოს ჩანაცვლება სომხეთით ხდება. რა გვიჩვენა სომხეთის არჩევნებმა, რა გავლენას მოახდენს ფაშინიანის პარტიის გამარჯვება სამხრეთ კავკასიაზე?

— ჩვენთვის მხოლოდ კარგს. ფაშინიანმა თქვა, რომ საქართველოსთან იმდენად ღრმა და მეგობრული ურთიერთობა აქვს, რომ მეტი გაღრმავება შეუძლებელია. ეს ურთიერთობა სომხეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ჩვენთვისაც კარგია. ფაშინიანი ის ადამიანია, რომელიც 2020 წელს, განმავლობაში ცხოვრობდნენ. ეს ფაქტია. ამ განცხადებებიდან მოგვიანებით, ფაშინიანმა ცოლთან ერთად სომხეთი მოიარა და სრულიად საპირისპირო განაცხადა: ხალხო, ხომ არ დადგა დრო, დავიწყოთ მითები ჩვენს დიდებაზე და რეალობას დავუბრუნდეთ — იმაზე ვიფიქროთ, როგორ გადავარჩინოთ ის, რაც ჯერჯერობით შეგვრჩაო. დააკვირდით, მისი მოქნილობის უნარს. ეს ზოგადად პოსტმოდერნისტული პოლიტიკაა, რაც ყველას არ შეუძლია — დღეს ერთი თქვას და ხვალ — მეორე. ფაშინიანმა იცოდა, რომ სომხეთის მოსახლეობაში ანტირუსული განწყობა ძალიან ძლიერი იყო. მოსახლეობას ტრადიციულად ეგონა, რომ ყარაბაღის ომის მსვლელობისას რუსეთი თავის გავლენას გამოიყენებდა და აზერბაიჯანს გააჩერებდა, მაგრამ რუსეთმა ეს არ და ვერ გააკეთა. ამიტომ წყენა დიდია. ეს მომენტი გამოიყენა ფაშინიანმა, დასავლეთის მხარდაჭერა მიიღო, ევროკავშირმა მას მილიარდებიც გამოუყო და არჩევნებშიც გაიმარჯვა. აი, ასეთი ვითარებაა.

თამარ შველიძე

აშშ-ის კონგრესიც დიფ სთეითისგან იმართება, ევროპარლამენტიც და რუსეთის დუმაც

ქაღალდზე პარტნიორობიდან რეალურ პარტნიორობამდე

გვესაუბრება საინფორმაციო სააგენტო „იქს-ნიუსის“ დამფუძნებელი
მირიან ყარაულაშვილი:

— ბატონო მირიან, ახლახან საქართველოსა და ჩინეთს შორის ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გაფორმდა. რა სიკეთეს მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას?

— ეს ორივე ქვეყნის ხელისუფლებების მიერ მიღებული საუკეთესო გადაწყვეტილებაა. ამჯერად ჩინეთი კაცობრიობის განვითარების ავანგარდშია ტექნოლოგიური, საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების თუ სხვა კუთხით. ფაქტობრივად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ ტექნოლოგიები, რის წყალობითაც წინ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა, ჰორიზონტალურად განავითარა. ეს მხოლოდ ერთ რომელიღაც ქალაქში ან ლაბორატორიაში როდია თავმოყრილი, არამედ ბევრ პროვინციაში, მათ შორის, დედაქალაქში, სანაპიროებზე, თუ სხვაგან არის განფენილი. ასე რომ, საქართველოსთვის ეს უდიდესი შანსია, რათა ტექნოლოგიების განვითარებაში ჩაერთოს, ინტეგრირდეს თუნდაც მისი კომპონენტების დამუშავება-შექმნა-რეალიზაციაში. აქვე აღსანიშნავია წარმატებები, რასაც ჩინეთმა ბოლო 40-50 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობაში, საავტომობილო მრეწველობასა თუ სხვა მიმართულებით მიაღწია. დღეს თუკი მსოფლიოში რაიმე მნიშვნელოვანი, ღირებული იწარმოება, 80-90% ჩინეთზე მოდის.

— რეალურად, რა ინტერესი აქვს ჩინეთს საქართველოში და რამდენად შესაძლებელია, მან აშშ ჩაანაცვლოს, როგორც ამას რადიკალები აცხადებენ? რა საფრთხის შემცველი იქნება ჩვენთვის, თუ ამერიკა ჩვენი ჩინეთთან სტარატეგიული პარტნიორობით გაღიზიანდება?

— ერთი ქვეყნის მეორეთი ჩანაცვლება არ უნდა მოხდეს. ამერიკას საქართველოსთან მიმართებით თავისი ინტერესი აქვს, ჩინეთს — თავისი, ისევე, როგორც ჩვენს ქვეყანას ორივე ქვეყნის მიმართ. რა თქმა უნდა, ჩინეთს საქართველოს ტერიტორია აინტერესებს, მაგრამ არა იმ გაგებით, რომ ჩვენი ტერიტორიის რაღაც ნაწილი კარაქივით ჩამოგვაჭრას და პეკინს მიუერთოს. ჩინეთს საქართველოს ტერიტორია აინტერესებს, როგორც იმ დიდი პროექტის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, რასაც შუა დერეფანი ჰქვია. ასე რომ, საუბარი იმაზე, თითქოს ჩინეთი ამერიკას ანაცვლებს, დიდი სისულელე, გაუმართლებელი პოლიტიკური ხედვაა.

— ამერიკასთან ურთიერთობების გადატვირთვის პოზიტიური დინამიკა თითქოს შეჩერდა. რას ნიშნავს საქართველოსთვის აშშ-სთან ურთიერთობის გადატვირთვა და რა ახალი ვალდებულებების წინაშე შეიძლება დადგეს ჩვენი ქვეყანა?

— ვერ ვიტყოდი, რომ აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვის პროცესი შეჩერებულია. რეალური პოლიტიკა ის არის, რაც კულისებში ხორციელდება და არა ის, რაც საჯაროდ ითქმება და დეკლარირდება. რუბიოს ამერიკის კონგრესის კომიტეტის სხდომაზე გამოსვლა ორიგინალშიც ვნახე. იგი ამბობს, რომ ქცევა უნდა შევცვალოთ, თუმცა ამაში არც ქართველ ხალხს გულისხმობს და არც ზოგადად, საქართველოში ომი არავის სურს. ყველა ვალდებულება დიპლომატიამ უნდა შეასრულოს და რეალური მიზნისკენ მიიყვანოს ის, რაც ქართველის სატკივარია — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

— აშშ-ის წარმომადგენლობითმა პალატამ ჯო უილსონის კანონპროექტი დაამტკიცა და განსახილველად სენატს გადასცა, რომლის მიზანი საქართველოს მიმართ რუსეთის, ჩინეთისა და ირანის მავნე გავლენების შესწავლაა...

— ჰოდა, ძალიან კარგი, შეისწავლონ, ვნახოთ, რა გამოუვათ. ნეტავ, რა გავლენებზე საუბრობენ, ირანის შაჰის წარმომადგენელი გვიზის საქართველოში პრემიერ-მინისტრად, ამერიკის სენატის თუ ჩინეთის რომელიღაც პროვინციათველოს. იგი ხელისუფლების რიგ წარმომადგენლებს გულისხმობს, რომლებმაც ჯო უილსონზე გაღიზიანებულებმა, შესაძლოა, ამერიკის ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიმართ ცოტა მიუღებელი ფრაზები გამოიყენეს. ამერიკა ჩვენთვის არც ქართველობის წართმევას ცდილობს და არც ჩვენს გადაკეთებას. მათი მიზანი ჩვენს რეგიონში თავიანთი ინტერესების გატარება და დაცვაა. ეს ინტერესები, უპირველესად, რეგიონში არსებული ენერგომატარებლების უსაფრთხო გატარებაა. ანუ, მათი ინტერესი პროექტში არსებული სატრანსპორტო კორიდორებზე მშვიდობიანი ატმოსფეროს შენარჩუნებაა.

ვფიქრობ, ძალიან მალე, საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყების შესახებ გაცხადდება, რასაც მივესალმები. შეიძლება, ბევრმა გამაკრიტიკოს, მაგრამ მე მივესამლმები როგორც აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობას და მის განვითარებას, ასევე, ჩინეთთან, რუსეთთან, თუნდაც, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დაწყებას. ჩვენ ომით ვერც აშშ-ს დავამარცხებთ, ვერც ჩინეთს, ვერც რუსეთს. საქართველოს მმართველი?! სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლება დიდი ხანია, სთხოვს ამერიკის ადმინისტრაციას: გაგვაგებინეთ, სად ხედავთ საქართველოს მხრიდან თქვენ მიმართ წინააღმდეგობასო, მაგრამ ამაზე პასუხს ვერ სცემენ.

დაბეჯითებით ვერ გეტყვით, რომელი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება უილსონი, მაგრამ ერთი ფაქტია — იგი საქართველოში არსებულ ე. წ. დეგრადირებულ ჯგუფებს ემსახურება, რომელსაც ოპოზიციას ვუწოდებთ და რომელიც ჯერ კიდევ სხვადასხვა წყაროებიდან ფინანსდება. მათ შორის, თავისი მმართველობის დროიდან არმად ნაშოვნი ფინანსებიც აქვს შემორჩენილი, რითაც უილსონს მსუყედ კვებავს. უილსონის ავადმყოფურ ტვინში რა აზრი მოიხარშება, ვერ გეტყვით. ალბათ, შესაბამისი შეკვეთა მისცეს და ასრულებს.

— სანამ უილსონი ანერვიულდებოდა, სასწრაფოდ შეისწავლეთ საქართველოში ირანის გავლენებიო, ერთი კვირით ადრე, კანდელაკი შფოთავდა — ჩვენი ქვეყანა ირანის ორბიტაზე ინაცვლებსო. ტექსტების შინაარსი უცვლელია.

— რადიკალებისა და უილსონების ტექსტები არათუ ჰგავს ერთმანეთს, არამედ საქართველოში იწერება და მეილით უილსონთან იგზავნება. მეორე დღეს კი, ჯო ამ ტექსტებს ახმოვანებს იმის მიხედვით თუ რა თანხა ჩაერიცხება. რაც შეეხება კანდელაკის მსგავს არაკაცებს, მისი ხსენებით ჩვენს დიალოგს არც გავაფუჭებ. იგი გადაგვარებული არსებაა რომელსაც ადამიანად საერთოდ ვერ აღვიქვამ, ვერც ფიზიკურად და ვერც მორალურად.

— თუ უილსონის კანონპროექტი ძალაში შევიდა, ხომ არ იქნება ეს იმის მანიშნებელი, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაციაც და კონგრესიც დიფ სთეითისგან იმართება?

— დიფ სთეითისგან იმართება როგორც აშშ-ის კონგრესი, ისე ევროპარლამენტიც და რუსეთის დუმაც. ჩვენმა უსამშობლოებმა სიტყვა „დიფ სთეითი“ გააუბრალოეს და აბსურდამდე დაიყვანეს, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. დიახ, დიფ სთეითი არსებობს — ეს ბიუროკრატების ძალიან მყარი ერთობაა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ერთსა და იმავე პოზიციებზეა და სადაზვერვო თუ სამართალდამცავ სამსახურებს აკონტროლებს. სწორედ ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს არამხოლოდ კონგრესსა და სენატში, არამედ თავად პრეზიდენტის დონეზეც. ამაში გასაკვირი არაფერია.

— თქვენ ახსენეთ, რომ ტრამპის ჩინეთში ვიზიტით ცხადი გახდა, რა ურთიერთობა აქვთ ამ ქვეყნებს ერთმანეთთან. მაშინ რატომ კეთდება ასეთი აქცენტი საქართველოსა და ჩინეთის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე?

— თუნდაც იგივე ჩინეთთან პარტნიორობის კუთხითაც, ახალხელმოწერილი ხელშეკრულების აღსასრულებლად, ვისურვებდი, ჩინეთმა, უპირველესად, სწრაფად და ხარისხიანად უზრუნველყოს საქართველოში იმ ტვირთების ტრანზიტი, რაც დაგეგმილია და რასაც შემდეგ ახალაშენებული პორტი მოემსახურება. ასევე, აქ სასწრაფოდ შექმნას სამუშაო ადგილები, თუნდაც ტექნოლოგიური მოწყობილობების კომპონენტებისთვის საამწყობრო საამქროები. მივესალმები, თუ აშენდება მათი საავტომობილო ბრენდის ერთი ან ორი საამწყობრო ქარხანა ისევე, როგორც უზბეკეთსა და შუა აზიის ქვეყნებშია. ასევე, სასურველია, ჩინეთმა საქართველოში სოფლის მეურნეობის რამდენიმე სერიოზული პროექტი განავითაროს თავისი ავტომატიზებული სასათბურე მეურნეობებით. ამის მერე აღარ დამაინტერესებს, ვისი ინტერესი სად და როგორი იქნება. სწორედ ეს იქნება ურთიერთობის რეალური, ხელშესახები განვითარება.

— ბატონო მირიან, ზოგადად, რა გავლენას ახდენს გლობალური პროცესები საქართველოზე და რამდენად მოქნილი, სახელმწიფოებრივია ხელისუფლების პოლიტიკა?

— საქართველოს ხელისუფლების აღმასრულებელი შტოების წარმომადგენლებისგან, ვინც ქვეყანას საერთაშორისო სარბიელზე წარმოაჩენს, ყველა მიმართულებით ცოტა მეტ მოქნილობას, უფრო აქტიურ მუშაობას, რეალური, ხელშესახები შედეგების მიღებას ვისურვებდი. რა თქმა უნდა, გლობალური პროცესები საქართველოზე გავლენას ყოველთვის ახდენდა და მომავალშიც მოახდენს.

— ბოლოს, პოლიციელების ძალადობის ამსახველ გავრცელებულ კადრებზეც გკითხავთ. როგორია თქვენი პოზიცია?

— ამ კადრების ნახვა იმდენად განვიცადე, ანონსის მერე სიუჟეტი აღარც მინახავს. ნებისმიერ ძალადობას, არაკანონიერ ქმედებას ვგმობ. ამ ფაქტის შესახებ პირველად ახლა გავიგე. თუ ეს საქმე უკვე გამოძიებული იყო და პოლიციელებიც დასჯილნი იყვნენ, დასამალი რა იყო — ეს თავის დროზე უნდა გახმაურებულიყო და ხელისუფლების, საზოგადოების და მედიის მიერ შესაბამისი რეაგირება ჰქონოდა. ყველაზე ცუდია, როცა ხელისუფლება რაღაცას მალავს, რაც ყოველთვის ათასგვარი კონსპიროლოგიური შეთქმულების ვარაუდებს აჩენს. ფაქტი როგორც კი გამომჟღავნდა, მაშინვე უნდა გასაჯაროებულიყო და დამნაშავეებიც დასჯილიყვნენ. კი ბატონო, ყველა პოლიციელს ვერ გააკონტროლებ, მთავრობა ამაზე პასუხს ვერ აგებს, მაგრამ თავად დამნაშავემ პასუხი მკაცრად უნდა აგოს. მათ წინააღმდეგ რეპრესიული აპარატი სწრაფად და ეფექტიანად უნდა იქნას გამოყენებული.

თამარ შველიძე

ღმერთებს მიწაში არ ეძებენ!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საოცარი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიცინის ცენტრის დირექტორი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ექიმი, პოეტი, ქველმოქმედი, მწერალი, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ გულანის” აკადემიკოსი, თურქეთის რესპუბლიკის მენეჯმენტის, აუდიტის და ფინანსების დოქტორი, ისრაელის საერთაშორისო საქველოქმედო ფონდ „გულთა კავშირის“ ვიცე- პრეზიდენტი; ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი, დავით აღმაშენებლისა და იაკობ გოგებაშვილის პრემიების ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მერაბ კვიცარიძე.

— ბატონო მერაბ, მე მხოლოდ მშრალი ინფორმაციის დონეზე ვიცი ბატონი გური ოტობაიასგან თქვენ მიერ გაწეული იმ გარჯის შესახებ, რასაც თქვენ, ექიმი კაცი, ადამიანთა მკურნალობისა და გამოჯანმრთელებაზე ზრუნვის პარალელურად ეწევით. მესმის, რომ უსაზღვრო თემაა, მაგრამ მინდა, რომ მკითხველი მცირედად მაინც დავაკვალიანო, რადგან თქვენს მამულიშვილურ ძალისხმევას მასმედიაში ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს, ვეჭვობ, ამის შესახებ ფართო საზოგადოება ინფორმირებული იყოს. ამჯერად რუსთაველზე გვესაუბრეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრ სასიამოვნო და საგულისხმო ამბავს გვიამბობთ. გაფაციცებული მოგისმენთ!

— დღეს რუსთაველის საფლავს ეძებენ — ზოგს ჰგონია რომ გელათში იქნება, ზოგს — სამხრეთ საქართველოში, ისრაელში და ზოგს კიდევ სად. სანამ კაცობრიობა იარსებებს, რაგინდ ეძებონ, მის საფლავს ვერავინ ნახავს, რადგან ის ჩამოვიდა ციდან, ფეხი არ დაუდგამს მიწაზე, დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და დაბრუნდა ზეცაში — ღმერთებს მიწაში არ ეძებენ!

რატომ არის რუსთაველი, ჩემეული ხედვით, ღმერთი?

თუნდაც იმიტომ, რომ, მაგალითად, ჩვეულებრივი ადამიანის თვალი აღიქვამს სამასამდე ფერს. ისეთი გამოჩენილი მხატვრები, როგორებიც იყვნენ: გოია, ტინტორენტო, კარავაჯო, რემბრანდტი, გუდიაშვილი, ველასკესი, ახვლედიანი, კაკაბაძე და სხვები, მხოლოდ ოთხასამდე ფერს აღიქვამდნენ, ხოლო რუსთველმა თქვა: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ — უთვალავ ფერს მხოლოდ ღმერთები ხედავენ!

ეს არის ჩემი მოკლე განმარტება რუსთაველზე. იგი ჩვენი სავიზიტო ბარათია ჩვენი გალაქტიკის გარეთ და არა ჩვენს გალაქტიკაში, რაც საამაყოა ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთათვის.

ჩემთვის „ვეფხისტყაოსანი“ მეხუთე სახარებაა და ამ ხუთში პირველი!

უპირველესად, აღვნიშნავ პროექტს, რომელიც 2012 წელს დაიწყო. 2012 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, დილას აივანზე გავედი და თეთრ ჩოხაში გამოწყობილი რუსთველი გამომეცხადა. ჩემდა უნებურად, „ავთანდილის ანდერძი“ ვთქვი ზეპირად, რასაც იდეა მოჰყვა, რომ ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ გამეკეთებინა. პროექტს პირობითად დავარქვი — „ვეფხისტყაოსანს“ წერს საქართველო!“

გადავწყვიტე, რომ 1957 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე სრულყოფილი საიუბილეო გამოცემა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე, გადამეწერინებინა სხვადასხვა პროფესიისა და აღმსარებლების ადამიანებისთვის — მინდოდა, რომ სახალხო პროექტი ყოფილიყო. უწმიდესსა და უნეტარესთან ილია II-სთან რომ მივედი და ჩემი განზრახვის შესახებ ვამცნე, გაოცდა — რამ მოგაფიქრა ამის წამოწყებაო, ძალზე გაუხარდა და დამლოცა...

უცბად რაც გამახსენდა — პირველი სტროფი ჭაბუა ამირეჯიბმა გადაწერა, უკვე ბერმა დავითმა; მესამე — ბაჩანა ბრეგვაძემ; მეექვსე — რეზო ჭეიშვილმა; მეთორმეტე სტროფი — პაატა კურტანიძემ და ასე შემდეგ. მაგალითად, გადაწერილი აქვს იცხაკ დავითს ისრაელიდან, ენათმეცნიერს, რომელმაც თვრამეტი ენა იცის — ოცდაცხრამეტი ე. წ. ქართველი ებრაელია ჩართული ამ პროექტში, ანუ გადაწერილი აქვთ თითო სტროფი. ასევე, გადაწერილი აქვთ: ხვიჩა კვარაცხელიას, თემურ წიკლაურს, ტარიელ ფუტკარაძეს და ა. შ. ყველას ვერ ჩამოვთვლი — ჩვენს მოჭადრაკეებს, დალაქს, ექიმებს, პრეზიდენტს (გიორგი მარგველაშვილი) და ა. შ. ხუთი სტროფიღა დარჩა დასაწერი.

უკვე მთავრდება პროექტი, სადაც 1669 ადამიანის ხელნაწერი მოიყრის თავს. ბოლო სტროფს ჩემი შვილი დაწერს, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება, სადაც საკმაოდ ცნობილი ნეიროქირურგი გახლავთ. ხელნაწერის პირველი პირი და ფოტო-ვიდეო მასალა ჩემს შვილს დარჩება სამემკვიდრეოდ. ასე მაქვს ჩაფიქრებული — წიგნი გამოვა. მას მოჰყვება სპეციალური ჩიპი, რომელზეც აღბეჭდილი იქნება გადამწერთა წერის პროცესი და მათი ინტერვიუები.

— როგორც ვიცი, ქუთაისის ავტოქარხნის მაჟორიტარი დეპუტატის რანგში რუსთაველის ძეგლი აჩუქეთ ქუთაისს და არა მხოლოდ ქუთაისს, საქართველოს ფარგლებსაც გასცდით...

— რამდენიმე წლის წინათ ვიყავი ქუთაისის იოსებ ოცხელის სახელობის მე-2 საჯარო სკოლაში, სადაც თაბაშირისგან დამზადებული რუსთაველის დაზიანებული ბიუსტი ვნახე. რა თქმა უნდა, წამოვიღე, გავამთელე და კვლავ სკოლას დავუბრუნე.

მაშინ ავტოქარხნის მაჟორიტარი დეპუტატი გახლდით საკრებულოში — საკუთარი ხარჯებით ცარიელი და სამშენებლო თუ საყოფაცხოვრებო ნაგვით დაბინძურებული ტერიტორია გავწმინდე, ნამდვილად ყოველმხრივ მოსაწონი სკვერი გავაკეთე თავის განათებიანად საკუთარი ხარჯებით და პარალელურად, რკინა-ბეტონში ჩამოვასხი რუსთაველი ბიუსტი თავისი პიედესტალიანად. ეს არის რუსთაველის პირველი და ერთადერთი ბიუსტი, რომელიც ქუთაისში დგას. იქვე განთავსდა წმინდა ნინოს ჯვარი. ძალიან დიდ ლოდზე გაკეთდა ქართული ანბანი (ჩემი იდეა იყო), ხოლო მეორე ლოდზე მარმარილოს „ვეფხისტყაოსანი“ განთავსდა.

2018 წელს გაიხსნა ჩემი დამსახურებითა და ჩემ მიერ განხორციელებული, ჩემივე იდეით შექმნილი სკვერი ქვაში გაცოცხლებული რუსთაველის ბიუსტით ავტოქარხნის დასახლებაში, ხარებავას ქუჩაზე, ახლანდელი სასჯელაღსრულების დაწესებულების მიმდებარედ. იმავე დროს, ქუთაისის სკოლებში ვაფინანსებდი რუსთაველის კაბინეტების გახსნას. ყველა ამ სკოლას საჩუქრად გადავეცი „ვეფხისტყაოსანი“ და ასევე, რუსთაველის თემატიკაზე შექმნილი რამდენიმე მხატვრის ტილო.

როგორც თქვენ თქვით, საქართველოს ფარგლებსაც გავცდი. თურქეთში ცხოვრობს თურქეთელი ქართველი ბიზნესმენი, დიდი სიმდიდრის მფლობელი, „აჭარკენტის“ მეპატრონე, ისმეთ აჯარი, ჩემი უფროსი მეგობარი და მას ვაჩუქე რუსთაველის ბიუსტი, რომელიც „აჭარკენტის“ ტერიტორიაზე განთავსდა.

კვლავ თურქეთში — რუსთაველის ბიუსტი გადავეცი რიზეში, რეჯეფ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის კაბინეტს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ!

ასევე, რუსთაველის ბიუსტი დაიდგა ჩემი დაფინანსებით, სამსუნის ქართულ სათვისტომოსა და უნივერსიტეტში;

ასევე, რუსთაველის ბიუსტი საჩუქარად გადავეცი ორხანგაზის ქართულ სათვისტომოს, სადაც ჩემი მეგობარმა ადემ თურანმა (შავაძე) ჭეშმარიტმა ქართველმა, ეს საშვილიშვილო საქმე მოაწესრიგა. ორხანგაზი არის თურქეთის ქალაქი და რაიონი (ილჩე) ბურსას პროვინციაში.

ასევე, უკვე ჩატანილია სტამბოლში და 28 ივლისს დაიდგმება რუსთაველის ბიუსტი სტამბოლის შოთა რუსთაველის ასოციაციაში.

ასე რომ, რუსთაველის ოთხი მომცრო და ერთი დიდი ბიუსტი იქნება თურქეთში.

საქართველოში — დიდი ზომის ბიუსტი, რომელიც ქუჩაში განთავსდა, საჩუქრად გადავეცი საქართველოს რუსთაველის საზოგადო-

ების პრეზიდენტს, ბატონ დავით შემოქმედელს. აქვე გვეტყვით, რომ მე რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე ვარ.

ასევე, რუსთაველის დიდი ბიუსტი საჩუქრად გადავეცი „ავერსის“ გენერალურ დირექტორს პაატა კურტანიძეს და განთავსებულია თბილისში;

ორი წელია, ცოტა დროში გაიწელა, მაგრამ სავარაუდოდ, ოზურგეთშიც დაიდგმება რუსთაველის ბიუსტი;

რუსთაველის კიდევ ერთი ბიუსტი მაქვს გეგმაში, რომელიც ქობულეთში დაიდგმება (გადავეცი ჩემს მეგობარს ბიზნესმენ რატი მეგრელიძეს).

ასევე, პირველი ბიუსტი, რომელიც ქუჩაში დაიდგა, გაიგზავნა ისრაელში და მომდევნო წელს დაიდგა ისრაელის ქალაქ კირიათ-ბიალიკში, ცურ შალომის დასახლებაში. ამ საშვილიშვილი საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩემმა დიდმა მეგობარმა, ქართველმა ებრაელმა, ფოთისა და საჩხერის საპატიო მოქალაქემ, ღირსების ორდენის კავალერმა, ქორეოგრაფმა შოთა წვენიაშვილმა, რომელიც იმ ქალაქში ცხოვრობს. რადგან ბატონი შოთა ზეტაფონში ცხოვრობდა, მოახერხა და დაამეგობრა ზესტაფონი და კირიათ-ბიალიკი, რომლის მერი ჩემი მეგობარი ბატონი ელი დუკოლსკი გახლავთ. ჩვენ სამმა შევძელით და ელი დუკოლსკის თაოსნობით, შოთა რუსთაველის ბიუსტი ისრაელშიც დაიდგა. რა თქმა უნდა, ყველა ხარჯი მე გავწიე, მათ მხოლოდ პიედესტალი დაგვახვედრეს, სადაც განთავსდა რუსთაველის ბიუსტი ქართულ და ივრითულ ენებზე წარწერით. ბიუსტი სინაგოგის მახლობლად არის განთავსებული, რომლის მრევლი, ძირითადად, ქართველი ებრაელები არიან. მერმა, ელი დუკოლსკიმ საჩუქრად გადმომცა ქალაქის საპატიო გასაღები, რამაც ძალიან გამახარა. ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ისრაელში ცხოვრობს ჩემი უფროსი მეგობარი მერაბ მიხაილი, რომელიც საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. ჯვრის მონასტრის გასაღები (სადაც რუსთაველის ფრესკაა), სამ ადამიანს აქვს: ერთი – იერუსალიმის პატრიარქს, მეორე – იერუსალიმის მერს და მესამე – ქართველ ებრაელს მერაბ მიხაილს.

ისრაელში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. ერთ-ერთი ჩასვლისას მერაბმა შემახვედრა და გამაცნო იერუსალიმის პატრიარქი თეოფილოს III. რა თქმა უნდა, მოკრძალებით შევხვდი, ერთმანეთი გავიცანით, საჩუქრები გავცვალეთ, ვისაუბრეთ და იგი შემპირდა, რომ ჯვრის მონასტრის ეზოში დაიდგმებოდა რუსთაველის ბიუსტი. შემდგომ ჩასვლაზე კი მითხრა, რომ ეს ვერ მოხერხდებოდა, თუმცა, თვითონვე მოიფიქრა ჩემთან ერთად და რუსთაველის ბრინჯაოს ბიუსტის დადგმა გადაწყდა მაცხოვრის საფლავის სიახლოვეს, დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში, იერუსალიმის პატრიარქის რეზიდენციის შესასვლელთან – გარდამოხსნის ადგილთან, იქვე. იქ იყო მაცხოვრის ქანდაკება. შესაბამისი პროპორციით ბრიჯაოში ჩამოვასხი რუსთაველის ბიუსტი, რომლის ავტორია ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ჩემი უმცროსი მეგობარი, მოქანდაკე გიორგი კიკვაძე, ქუთაისში ექვთიმეს, ტიციანის, პაოლოსა და სხვათა ძეგლების შემქმნელი.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ჩემი გულითადი მეგობარი რობერტ ადარი (ავჯიაშვილი) – ისრაელის საქველმოქმედო ფონდ „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი. ფონდს ორი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს, მერაბ მიხაილი და მე, თქვენი მონა-მორჩილი. ასევე, ისრაელში ცხოვრობს ჩემი ახლო მეგობარი, ბიზნესმენი, მათემატიკოსი შალომ ფიჩხაძე, რომელიც გვერდზე დამიდგა.

ბიუსტი რომ ჩავიტანეთ მე და გიორგიმ, ჩვენთან ერთად იყო ასევე ბიზნესმენი, ჩემი უმცროსი მეგობარი შოთა ჟღამაია. აკურთხა ბიუსტი თეოფილოს III-მ და დაიდგა მაცხოვრის ქანდაკების წინ, სადაც უნდა გაკეთებულიყო წარწერა ოთხ ენაზე, იმის შესახებ, რომ ბიუსტი მე საჩუქრად გადავეცი იერუსალიმის პატრიარქსა და საპატრიარქოს. წარწერა უნდა ყოფილიყო ივრითზე, ქართულად, ბერძნულად და ინგლისურად.

ქვა წავიღე სნოდან, ჩვენი პატრიარქის, აწ ზეცად აღვლენილი უწმიდესის სოფლიდან, მინდოდა, რომ ქვაც საქართველოდან ყოფილიყო. იერუსალიმის პატრიარქმა მე და გიორგი ოქროს ჯვრებით დაგვაჯილდოვა და ასე რომ ვთქვათ, საპატრიარქოს მედლით...

ქუთაისში არის თემურ შალიკიანი, ცნობილი ხატმწერი, რომლის დაწერილი ხატი „წმინდა ნინო“ და „მოსეს ხატი“ – უფრო, ნახატი, მეორე და მესამე შეხვედრაზე გადავეცით საჩუქრად. ასე რომ, იერუსალიმის პატრიარქის რეზიდენციაში წმინდა ნინოს ქართული ხატია განთავსებული...

– **მაშასადამე, ისრაელში შოთა რუსთაველის ორი ბიუსტია...**

– დიახ. ერთი – კირიათ-ბიალიკში და მეორე, შედარებით მომცრო, საპატრიარქოს შესასვლელში, მაცხოვრის ქადაკების წინ.

– **ყური მოვკარი, მეგობრებთან ერთად კიდევ ერთი კარგი საქმე წამოგიწყიათ...**

– დიახ. 26 მაისს იყო პრეზენტაცია. ჩვენ: მე, ბატონმა ლაშა გვასალიამ და ლადო კვარაცხელიამ გამოვაცხადეთ ქართული კალიგრაფიის საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ჩატარდა მთელი მსოფლიოს მაშტაბით. კონკურსში მონაწილეობდა სამასამდე მონაწილე. ჩვენი, აფხაზეთის მთავრობისა და სოხუმის უნივერსიტეტის თანადგომით, გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი დიპლომები, ფულადი ჯილდოები და ვაუჩერები. საკმაოდ საინტერესო იყო სამშობლოს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების ჩართულობა. პროექტში აქტიურად მონაწილეობდნენ თურქეთელი ქართველები და ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები. პროექტი ყოველწლიურად ჩატარდება და კალიგრაფიის საერთაშორისო დღე შესაბამისი პომპეზურობით აღინიშნება.

ასევე, იდეა მქონდა და დავიწყე კიდეც მისი განხორციელება. 218 „ვეფხისტყაოსანი“ მაქვს – სერიოზული კოლექციაა. ბევრ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ მაქვს კოლექციაში და მათ შორისაა ქართული ასოებით აფხაზურად ნათარგმნიც. გადავწყვიტეთ, რომ გადაიწეროს ისიც და დავიწყეთ ამ საქმის აღსრულება ზუგდიდში. როგორც ამ პროექტის ავტორმა, პირველი სტროფი გადავწერე მე; მეორე სტროფი გადაწერა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა დავით ფაცაციამ; მესამე სტროფი გადაწერა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ. ასე დაიწყო და ნელ-ნელა აიკრეფს ძალას. ზუგდიდში იმიტომ განვათავსე, რომ აფხაზეთიდან გადმოსული აფხაზები და ქართველები მიიღებენ მონაწილეობას ამ შესანიშნავ პროექტში...

– **იდეალური რამ მოგიფიქრებიათ...**

– იმდენი რამ მაქვს გაკეთებული, მხოლოდ ერთი თემატიკით არ მახსენდება უცბად...

ეს კი აუცილებლად უნდა ითქვას!

როდესაც დავიწყე პროექტი „ვეფხისტყაოსანს წერს საქართველო“ და მივედი 55-ე სტროფთან, 2012 წელი იყო. შემთხვევით გავიგე, რომ ორპირში ცხოვრობს ქალბატონი ანრო ცირეკიძე, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“. ჩავაკითხე მას, გადავაწერინე ერთი სტროფი და დღემდე ვძმაკაცობთ, მარტოხელა ქალბატონია და ყოველმხრივ გვერდზე ვუდგავარ – ყოველი წლის 1-ელ იანვარს მისი გამომცხვარი მჭადი უნდა ვჭამო, ისე წელწადს ვერ დავიწყებ. ეს ქალბატონი 7-გზის გამარჯვებულია „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირმცოდნეთა შორის.

საქართველოში ოთხმა ადამიანმა იცის ზეპირად „ვეფხისტყაოსანი“. ესენი არიან: ანრო ცირეკიძე (ტყიბული), ნათელა ლანჩავა (ტყიბული), თემურ ხუციშვილი (ახალციხე) და მანანა ნესუაშვილი. ამ ოთხიდან სამს მიღებული აქვთ მონაწილეობა ჩემს პროექტში, სამწუხაროდ, ქალბატონ მანანასთან ვერ მოვახერხე შეხვედრა. ზეპირმოცოდნე არის ნინო ჯიქიაც, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს და, სულ ახლახან აღმოვაჩინე ბაღდათის რაიონის სოფელ წყალთაშუაში ახალგაზრდა ბიჭი, ვაჟა მაშალეიშვილი, რომელმაც თითქმის ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“.

ბევრი რამ მაქვს გაკეთებული რუსთაველთან დაკავშირებით და ბევრსაც გავაკეთებ, რადგან ჩემთვის რუსთაველით თენდება და რუსთაველით ღამდება...

– **პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს, ილია II-ს თქვენი ლექსების წიგნიც ჰქონდა...**

– დიახ. მე გენიალური პოეტის, ზურაბ გორგილაძის პირველი პრემიის ლაურეატი ვარ. მეამყება, რომ პატრიარქის ბიბლიოთეკაში ჩემი ლექსების წიგნი და გენიალური პოეტის ზურაბ გორგილაძის წიგნი ერთად დევს, რომელიც პატრიარქს ვუსახსოვრე. იქამდე მივიდა ჩვენი მეგობრობა, რომ ჩემი შვილის ქორწილში მან ხატი გამოაგზავნა საჩუქრად, სპეციალური წერილი და ასევე, მივიღეთ გადაწყვეტილება (არ ვიცი, რამდენად ჩათვლით საჭიროდ ამის დაწერას), რომელიც შევასრულეთ კიდეც – ჩემი შვილიშვილი, გოგონა, რომელიც შეგვეძინა, მოვნათლეთ ისრაელში, წმინდა გიორგის საფლავზე და ეს აკურთხა იერუსალიმის პატრიარქმა...

– **ორგზის მადლობას გიხდით, ბატონო მერაბ! პირველი – თქვენი ასეთი დატვირთული სამუშაო გრაფიკის ფონზე დრო რომ გამონახეთ ჩემთან სასაუბროდ და მეორე მადლობა იმისთვის, რომ ასეთი სამაგალითო ქართველი ბრძანდებით!**

თქვენ იმდენი რამ გაქვთ მკითხველისთვის საამბობი, იმედს ვიტოვებ, რომ კიდევ მოგიწევთ ბევრი რამის გახსენება და ჩემთან საუბარი.

– მადლობა თქვენ! არ დაგზარდებით!

ესაუბრა
მაია ჭელიძე

ამერიკის გადასაწყვეტი არ არის, რა კანონები გვექნება ევროპელებსა და ფრანგებს

დიდი შვიდეულის (G7) სამიტის წინ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი საფრანგეთის ფრანგულ ღვინოსა და შამპანურზე 100%-იანი საბაჟო ტარიფის დაწესებით დაემუქრა. ამის მიზეზი პარიზის მიერ ამერიკულ ტექნოლოგიურ გიგანტებზე დაწესებული 3%-იანი გადასახადია.

საპასუხოდ, ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ ციფრული გადასახადი ევროპული კანონმდებლობის ნაწილია, რომელსაც ვაშინგტონი ვერ შეცვლის. საფრანგეთის პრეზიდენტის თქმით, ის ტრამპთან „პატივისცემაზე დაფუძნებულ, მაგრამ მკაცრ საუბარს“ გეგმავს. მაკრონმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად ტრამპთანპერიოდულად დაძაბული ურთიერთობისა, პრაგმატულად მოქმედებს და მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავს.

„მე მას ვთხოვე, არ დაებეგრა ამერიკული კომპანიები. თუ ისინი ამას მაინც გააკეთებენ, სხვა გზა არ დამრჩება, გარდა იმისა, რომ საფრანგეთიდან იმპორტირებულ ყველა შამპანურსა და ღვინოზე 100%-იანი ტარიფი დავაწესო“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

დონალდ ტრამპი: ირანის ახლანდელი ლიდერები, ჩემი აზრით, არიან „ძალიან რაციონალურები

ასეთი განცხადება შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, დიდი შვიდეულის სამიტზე ყატარის ემირთან შეხვედრის და ჟურნალისტების კითხვებზე პასუხის დროს გააკეთა.

დიდი შვიდეულის სამიტზე აშშ-ირანის შეთანხმების განხილვის გაგრძელებისას, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მას „არასდროს აინტერესებდა რეჟიმის შეცვლა“ და ეს არ ყოფილა თეირანის წინააღმდეგ აშშ-ისრაელის კამპანიის მიზანი. ამასთან, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიდი რაოდენობით მაღალ თანამდებობებზე ამდენი ახალი პირის გამოჩენას რეჟიმის ფაქტობრივად შეცვლად მიიჩნევს.

„ერთადერთი, რაც ჩემთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ირანს არასდროს ექნება ბირთვული იარაღი“ და შეთანხმება ეს გაცხადებულია „მკაფიოდ და ნათლად“.

ტრამპის თქმით, თუ ირანი ბირთვული იარაღის მოპოვებას შეეცდება, მის თავზე „ჯოჯოხეთი დატრიალდება“.

საქართველო დემოგრაფიული კოლაფსის საფრთხის წინაშეა!

წინა კვირას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი **ლევან მამალაძე** დემოგრაფიული გაჯანსაღების პროგრამის — „დემოგრაფიული უსაფრთხოებისა და ეროვნული მდგრადობის სტრატეგიის“ — პრეზენტაციით წარსდგა, რომლის მიზანი საქართველოში დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება და ამ მიმართულებით გაჯანსაღების ღონისძიებების განხორციელებაა.

როგორც ბატონმა ლევანმა აღნიშნა: „დღეს საქართველო სერიოზული დემოგრაფიული პრობლემის წინაშე დგას, რაც შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. მთავარია, პროექტმა სახელმწიფო პროგრამის სტატუსი მიიღოს, რაც დემოგრაფიული პროცესის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს“. კვლევების მონიტორინგის საფუძველზე, მამალაძე აცხადებს, რომ თუ პრობლემას — დემოგრაფიულ გამოწვევებს დროულად არ ვუპასუხებთ, რვა-ათ წელიწადში საქართველო დემოგრაფიულ კოლაფსში შევა და შესაძლოა, ასე სამშობლოს შენარჩუნების მექანიზმები დავკარგოთ.

— ბატონო ლევან, როგორც აღნიშნეთ, თუ პრობლემა დროულად არ მოგვარდა, უახლოეს წლებში დემოგრაფიული კოლაფსის საშიშროება გველის. ასეთი მძიმე დასკვნის გაკეთების საფუძველს რა გაძლევთ?

— ფაქტობრივად, ერი დემოგრაფიულ ვარდნაში იმყოფება: შობადობის კლება, დაგვიანებული ქორწინება, ქალების რეპროდუქტიული ასაკი 18 წლიდან 32 წელი გახდა. სტატისტიკურად, ასი შექმნილი ოჯახიდან სამოცდაათი განქორწინება ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, დემოგრაფიული დისბალანსი ადგილების დაცარიელებას, შრომითი რესურსების გადინებას იწვევს, რაც ერის დაბერების კოეფიციენტს ზრდის. ქართული სოფლები მოსახლეობისგან იცლება. ამ ეტაპზე სრულად 256 სოფელია დაცარიელებული.

ჩვენ ათეული წლებია, დემოგრაფიის გამოსწორების თვალსაზრისით, ეროვნული პოლიტიკა ჩამოყალიბებული არ გვაქვს. დღესაც ასეა — სახელმწიფოს განვითარებისა და ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფორმირების საერთო ხედვა არ არსებობს. ასევე, ღონისძიებები არ ტარდება რეპატრიანტთა დაბრუნების კუთხით. სერიოზული პრობლემაა ისიც, რომ ადამიანი, რომელიც მეტყველებს ქართულად, იცის ენა, წერა-კითხვა, ქართული წარმომავლობა აქვს, სტატუსს ვერ იღებს, მისთვის არავითარი საკანონმდებლო შეღავათი არ არსებობს.

აქვე, ყურადღებას არასწორ შიდა მიგრაციულ საკითხებზეც გავამახვილებ: ჩვენ დევნილების რამდენიმე ტალღა გავიარეთ. როცა საშუალება არ იყო, მათ სასტუმროებში ასახლებდნენ. წარმოუდგენელია, ადამიანი, რომელიც გალის რაიონში ძროხას წველიდა, ცხინვალის სოფლებში მწყემსი იყო, კორპუსებში შეასახლო. ხულოელ ეკომიგრანტებს ბათუმში კორპუსები აუშენეს, რაშიც უზარმაზარი თანხები დაიხარჯა. არადა, შეიძლებოდა, ისინი სოფლებში ჩაგვესახლებინა. გავიხსენოთ, ცხინვალიდან დევნილებისთვის ოთხი მილიარდი გამოიყო, რითაც შეიძლებოდა 40 ათასი სახლი აშენებულიყო და ჯავახეთის რეგიონის პრობლემაც გადაწყდებოდა. ასე რომ, სახელმწიფოებრივი მიდგომა დასახვეწია.

— ზემოთ აღნიშნეთ, რომ რვა-ათ წელიწადში სავალალო შედეგებამდე მივალთ. კონკრეტულად, რას გულისხმობთ?

— დიახ, თუ ასე გაგრძელდა, 2036 წლიდან ძალიან მძიმე შედეგები დაგვიდგება _ შესაძლოა, თვითაღდგენის უნარი დავკარგოთ. ჩვენი გათვლებით, მოსახლეობის ამ დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში, 2036 წლიდან, საქართველოში, რეალურად მხოლოდ 2 მილიონ 600 ათასი მოსახლე იქნება. ბიოლოგიური კოლაფსი გამოიწვევს იმას, რომ ორჯერ მეტი ადამიანი გარდაიცვლება, ვიდრე დაიბადება და კოეფიციენტი 1,5-მდე დაეცემა. ასაკობრივი სტრუქტურა მაქსიმალურად შეიცვლება. ამ კოლაფსის პირობებში, ყოველი მესამე სამოცდახუთ წელს გადაცილებული იქნება, ხოლო ყოველი მეხუთე მოსახლე — უცხოელი. შედეგად, დაიწყება ეთნიკური ჩანაცვლების გაღრმავების პროცესი. აქედან გამომდინარე, სოფლების 70%-ზე მეტი აბსოლუტურად დაიცლება, რაც ყოველგვარი ომისა და დაპირისპირების გარეშე, ტერიტორიების დაკარგვის სერიოზული პრობლემის წინაშე დაგვაყენებს. ეს ბუნებრივი კანონია — მაღალი კონცენტრირება დაბალ კონცენტრირებაში გადადის.

ჩვენ გაანგარიშებული გვაქვს ისიც კი, 2050 წლისთვის, ამ დემოგრაფიული ეროზიის შედეგად, როგორი რუკა შეიძლება მივიღოთ, რა ტერიტორიების დაკარგვის საფრთხეები გვაქვს და რა შეიძლება დარჩეს საქართველოსგან. სწორედ ამიტომ შევივუშავეთ გეგმა-პროგრამა „დემოგრაფიული უსაფრთხოებისა და ეროვნული მდგრადობის სტრატეგია“.

— რას ითვალისწინებს ეს პროგრამა და განხორციელების გზები როგორ გესახებათ?

— პროგრამა ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება, ერთი მიმართულებაა პირდაპირ ოჯახის შექმნის სტიმულირება, ბავშვის შეძენის მოტივაციების შექმნა, ბავშვის შეძენის შემდგომ სათანადო დახმარება და უშვილობის პრობლემის მოგვარება, რაც სოციალურ-ეკონომიკური დახმარების სრულ პაკეტს ითვალისწინებს. ეს არის კომუნალური, საფინანსო შეღავათების დაწესება, სოფლად დასაქმების მიზნობრივი, ასევე, დასაქმებისა და ადგილზე დამაგრების სპეციალური პროგრამების შემოღება. მეორე მიმართულებაა დემოგრაფიული რესურსების ფორმირება და განსახლება.

— რისი გაკეთება შეუძლია სახელმწიფოს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— კონსტიტუციის 21-ე მუხლი ქვეყანას ავალდებულებს, დემოგრაფიული აღრიცხვა-წარმოება უზრუნველყოს. მსგავსი ღონისძიებები სახელმწიფოში, ჯერჯერობით, არ ტარდება. ასევე, არსებობს პარლამენტის 2016 წლის დადგენილება, სადაც დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია ჩამოყალიბებულია, თუმცა, ამ მიმართულებით წინ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. ჩვენი საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული პაკეტი, რომელიც უამრავ კომპონენტს მოიცავს, სახელმწიფოს გადავცეთ და მათთან ერთად აქტიურად ვიმუშაოთ. პროგრამის პირველი პრეზენტაცია, როგორც იხილეთ, მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა. შეთანხმებული ვართ, რომ უახლოეს პერიოდში შესაბამისი შეხვედრა და პრეზენტაცია ჩატარდება საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ ყაველაშვილთან, სრულიად საქართველოს პატრიარქთან შიო მესამესთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. ნუ დაგვავიწყდება, რომ დემოგრაფიული გაჯანსაღება ერის გადარჩენას უდრის.

თამარ შველიძე

1848 წლის 6 იანვარს კელასურში გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე დაიბადა. მისი მშობლები დიმიტრი შერვაშიძე და ეკატერინე (პუპი) დადიანი იყვნენ. გიორგი პატარა იყო, როცა დედა გარდაეცვალა და მამამ იგი აღსაზრდელად კოლიუბაკინების კეთილშობილ ოჯახს ჩააბარა, რომლებმაც აფხაზ თავადს, მომავალ გუბერნატორს ბრწყინვალე განათლება მისცეს.

გიორგი შერვაშიძემ გუბერნატორობის პერიოდში უამრავი კეთილი საქმე გააკეთა. მისი ნათესავი, ფილოსოფოსი ასმათ შერვაშიძე, რომელმაც გამოსცა წიგნი — „თბილისის აფხაზი გუბერნატორი — გიორგი შერვაშიძე“, „საერთო გაზეთს“ ამ დიდებული ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო დეტალებზე ესაუბრა:

დაუბრუნდება თუ არა საქართველოს გიორგი შერვაშიძის უნიკალური ბიბლიოთეკა

— იმ პერიოდში, ანუ, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20-ის დასაწყისში ორი გიორგი შერვაშიძე ცხოვრობდა — ერთი, გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე და მეორე, გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე. ერთხელ, კულტურისა და განათლების მინისტრის ერთ-ერთმა მოადგილემაც მკითხა: როგორ მოხდა, რომ ერთი გიორგი შერვაშიძე იყო და მეორე — შარვაშიძეო. საქმე ის არის, რომ, როდესაც რუსეთის იმპერიამ სრულიად საქართველო და, მათ შორის, აფხაზეთის სამთავროც მიიერთა, დრამატურგი და მეცნიერი გიორგი მიხეილის ძე, პროტესტის ნიშნად შარვაშიძედ დარჩა. დიმიტრი და მიხეილი ბიძაშვილები იყვნენ და ორივე სამთავრობო შტოს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი დიმიტრის ძის ბაბუის — სეიდ-ბეი შერვაშიძის (რომელიც რუსეთის მთავრობას არ ემორჩილებოდა), ოცნება იყო, რისთვისაც მუდმივად იბრძოდა, საქართველო გაერთიანებულიყო და რუსეთის შემადგენლობიდან გამოსულიყო. ამასთან, მას სურდა, ბაგრატიონთა სამეფო გვარი ისევ აღდგენილიყო და გაერთიანებული საქართველოს მეფეთა გვარი გამხდარიყო. ამის გამო კიდეც გადაასახლეს. როცა დაბრუნდა, მას — აფხაზეთის ტახტის მემკვიდრეს, ტახტზე უარი ათქმევინეს. სამაგიეროდ, მან მამულები, კომპენსაცია მოითხოვა და მთელ აფხაზეთში ერთ-ერთი უმდიდრესი გვარი გახდა.

სეიდ-ბეის ჰყავდა შვილი — ქრისტიანულად მონათლული დიმიტრი, რომელმაც განათლება თბილისში მიიღო, გიმნაზია და მერე სამხედრო სასწავლებელიც დაამთავრა. იგი პოლიტიკაში არ გარეულა. მისი მეუღლე ლევან დადიანის ქალიშვილი, პუპი დადიანი გახლდათ. მათ ერთადერთი შვილი — გიორგი ეყოლათ. გიორგი ორი წლის იყო, როცა პუპი გარდაიცვალა, ხოლო ათი წლის ასაკში მამაც დაკარგა. დიმიტრიმ გარდაცვალებამდე შვილი აღსაზრდელად სოხუმში მცხოვრებ ცნობილ ოჯახს — კოლიუბაკინებს მიაბარა, რომელთაც მოგვიანებით გიორგი იშვილეს, გაზარდეს და სათანადო განათლება მისცეს. დედობილმა ალექსანდრა კრიჟანოვსკაიამ იგი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში წაიყვანა, სადაც უცხო ენები შეისწავლა. გიორგიმ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა და თბილისში ჩავიდა, სადაც ქართველ თავადაზნაურებს დაუახლოვდა. განსაკუთრებით მეგობრობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძესთან.

ამის შემდეგ გიორგი შერვაშიძე ჯერ ტიტულარული მრჩეველი, 1883 წელს თბილისის ვიცე-გუბერნატორი, ხოლო 1889 წელს გუბერნატორი გახდა. 1877-1878 წლებში მამაცურად იბრძოდა რუსეთ-თურქეთის ომში. აქვე, ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ: რუსეთ-თურქეთის ომის დროს, აფხაზები თურქებს მიემხრნენ და თავს ასე იმართლებდნენ: რა უნდა გვექნა, თურქებს ან უნდა შევგუებოდით, ან დავნებებოდით და მათ მხარეს გადავსულიყავით. ჩვენ მათ მხარეს გადასვლა ვარჩიეთ, თუმცა მერე, ძალიან გავწვალდით, ისევ თურქეთში წაგვასხეს, ხოლო უკან დაბრუნებულებს, რუსეთმა მოღალატეების იარლიყი მოგვაწება და შავი ზღვის სანაპირო ზოლთან 30კმ-ში მიახლოება აგვიკრძალესო. სწორედ მაშინ იმედტალს გეტყვით: საქორწილო საჩუქრად მამამ — ბარონმა ნიკოლაიმ მათ სახლი აჩუქა. ჩემი მეგობარი ნატო მარშანია არქივს ათვალიერებდა, როცა ფრანგულენოვან წერილს წააწყდა და ეს სახლი იპოვა. აღმოჩნდა, რომ მაშინ იმ ქუჩას, სადაც სახლი მდებარეობდა, ახალბებუთოვის ქუჩა ერქვა, დღევანდელი ვუკოლ ბერიძის №4.

გიორგი შერვაშიძემ დიდი წვლილი შეიტანა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქართული ღვინის გატანით, რამაც დიდი აღიარება მოიპოვა. ასევე, გაატარა საგანმანათლებლო რეფორმები, დაასრულა ოპერის მშენებლობა, გახსნა სკოლები, მათ შორის, აფხაზეთში გლეხის ბავშვებისთვის, ააშენა ხიდები, გზები, რკინიგზა (ჩვენ ვიცოდით, რომ კახეთის რკინიგზის მშენებლობა კოტე აფხაზმა დააფინანსა, თუმცა ამ საქმეში, შერვაშიძის წვლილიც არანაკლები იყო), თბილისში გააკეთა წყალგაყვანილობა, სოფლის სკოლებში სწავლის დონე აამაღლა.

იონა მეუნარგიას გადმოცემით: გიორგის განსაკუთრებული წვლილი აფხაზური საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებასა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განმტკიცებაში მიუძღვოდა. მან ქართველი და აფხაზი გლეხების სასარგებლოდ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. გადმოცემით ვიცოდით, რომ შავი ჭირის ეპიდემია, ილიას თაოსნობით, უსწრაფესად დასრულდა. გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ, რომ თბილისის გუბერნატორმა — გიორგი შერვაშიძემ სთხოვა ილიას, ამ მოძრაობას სათავეში ჩადგომოდა და ეპიდემია გაქრა. ასევე, გააკეთა პროექტი „გლეხთა ყოფის გაუმჯობესება და მათი გადახდისუნარიანობა“. ამისთვის შექმნა ფონდი, სადაც სამ წელიწადში ნახევარი მილიონი მანეთი მოგროვდა, რაც გლეხებისთვის იყო განკუთვნილი.

მას ახასიათებენ როგორც სამშობლოს მოყვარულ, უკეთესი გზების ძიებისთვის მებრძოლ დიპლომატს. გიორგი წლების განმავლობაში მფარველობდა ილიას, როცა იგი ჟანდარმერიის ფარულ დევნას განიცდიდა. პირადი ქონებიდან ბაბუშერელ გლეხებს რვა ქცევა მიწა გამოუყო სკოლის მშენებლობისთვის და საკუთარი ტყიდან ხის მასალაც მისცა. ასევე, ორასი დესეტინა მიწა დაუთმო აფხაზებს მეურნეობის გასავითარებლად. რუსებმა საქართველოში დუხაბორები რომ ჩამოასახლეს, მათ ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროგრესული ტექნიკა ჰქონდათ და ისეთ პროდუქტს აწარმოებდნენ, რომ ამის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. შედეგად, ქართველ გლეხებში ამის პოპულარიზაციას ეწეოდა, რათა მათი შრომა შემოსავლიანი ყოფილიყო.

აქვე ერთ საინტერესო ამბავსაც გიამბობთ: გიორგის ნათესავ ლეო შერვაშიძეს, რომელიც მისი თანამოაზრე იყო, ასევე, უდიდესი წვლილი მიუძღვოდა საქართველოს, კერძოდ კი აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და ისტორიის შესწავლაში. იგი პარიზში იყო დაბადებული. 1914 წელს მამამისი, როგორც სამხედრო ვალდებული, დივიზიაში გამოცხადდა, ცოლ-შვილი კი კიევში, საბრძოლო მოქმედებებთან ახლოს დააბინავა. ლეოს მამას — ალექსი შერვაშიძეს თან წაყვანილი ჰყავდა ერთგული გლეხი აფხაზი აგრბა, რომელიც მისი ადიუტანტი იყო. იქ ასევე, იმყოფებოდა გარუსებული ოფიცერი შტრომბერგი, რომელსაც მდაბიოს — აგრბას ასეთი პარპაში არ მოსწონდა, მას ეჩხუბა და მათრახიც გადაუჭირა. აგრბამ ალექსის შესჩივლა. მან არც აცია, არც აცხელა, შუა ომის დროს შტორმბერგი დუელში გამოიწვია და მოკლა. ომის დროს, კანონით დუელი აკრძალული იყო. ლეო იხსენებდა, ამ ამბავში იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნა ჩაერიაო. გიორგი ნაწყენი ყოფილა, ალექსიმ შუაგულ ომში ეს როგორ გააკეთაო. ორ დღეში ალექსი გაათავისუფლეს, თორემ ისე, ან ფრონტის წინა ხაზზე გაუშვებდნენ ან პირდაპირ დახვრეტდნენ.

გიორგი შერვაშიძეს უდიდესი გავლენები ჰქონდა. იაპონიასთან დიდი ომის დაწყებამდე პრემიერს გიორგისთვის უთქვამს: ამ ომის გაჩაღება არ შეიძლება, წავაგებთ და დიდი ზარალი მოგვადგებაო. ამიტომ უთხოვია, იმპერატორს შემახვედრეო. ორი საათი ულაპარაკიათ და ნიკოლოზ მეორეს უთქვამს, ყველაფერი გასაგებია, ომი არ იქნებაო.

სხვათა შორის, დღევანდელ აფხაზეთში გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე უყვართ, რადგან იგი აფხაზებს ყოველთვის მხარში ედგა. გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძეზე კი დიდად არც მაშინ გიჟდებოდნენ

და არც ახლა გიჟდებიან, რადგან იგი ბოლომდე პროქართველი იყო. ასე ამბობდა: ია ნი აფხაზსკი, ია გრუზინსკი კნიაზ-ო. გიორგი მიხეილის ძე ქართულად წერდა, აფხაზურად სულ ორი ლექსი აქვს დაწერილი.

— ქალბატონო ასმათ, მეცნიერებათა აკადემიაში მოხსენების წაკითხვის დროს ბრძანეთ, რომ გიორგი შერვაშიძეს კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა. რა ბედი ეწია მას?

— დიახ მას სხვადასხვა თემატიკის ძალიან მდიდარი საოჯახო და პირადი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მის ბიბლიოთეკაში თავს იყრიდა უნიკალური წიგნები.

იმ პერიოდში პეტროგრადში შალვა ნუცუბიძე იყო ჩასული, უნივერსიტეტის საკითხთან დაკავშირებით. იგი თავის მოგონებებში წერს: ჩვენი ყოფილი გუბერნატორი ქალაქში შემთხვევით შემხვდა და მკითხა, აქ რას აკეთებო. შალვა ნუცუბიძე იქ ივანე ჯავახიშვილის ბიბლიოთეკის წამოსაღებად იყო ჩასული. გიორგი შერვაშიძეს უთქვამს, ჩემს ბიბლიოთეკას გაგატანო და სამი კონტეინერი უნიკალური წიგნებით დაუტვირთავთ. მაშინ ხმა გავრცელდა, რომ ხანძარი გაჩნდა და წიგნები დაიწვა. თუმცა, ბოლო რამდენიმე წელიწადია, ირკვევა, რომ ეს წიგნები არ დამწვარა და სადღაც ვორონეჟშია. ჩვენ შეგვიძლია ეს საკითხი გამოვიკვლიოთ, არქივში შესაბამისი დოკუმენტი მოვიძიოთ, რაც დაადასტურებს, რომ გიორგი შერვაშიძემ ეს წიგნები შალვა ნუცუბიძეს აჩუქა და უკან დავიბრუნოთ. ამ საქმეში მეცნიერებათა აკადემიაც დაგვპირდა დახმარებას.

გიორგი შერვაშიძე 1918 წლის 26 მარტს იალტაში გარდაიცვალა. იგი იყო საქართველოს, აფხაზეთის დიდებული შვილი, მოამაგე, მზრუნველი, განათლებული, სამშობლოსთვის ჭკვიანი გზების მძებნელი მამულიშვილი.

თამარ შველიძე

იუბილარი დონალდ ტრამპი მსოფლიო საგიჟეთში და მისი ცხრა პარასკევი

ახლა არ მკითხოთ, რომელი ტრამპზე ლაპარაკობ. აი, იმაზე, ლამის მთელი მსოფლიო რომ აბარია, ომებს რომ იწყებს, მერე ამთავრებს და თან ნობელის პრემიასაც ითხოვს მშვიდობის დარგში. ვენესუელის პრეზიდენტი გაიტაცა - არ მისცეს პრემია, ვისაც მისცეს, ის ქალი ჩაიყვანა ვაშინგტონში თავის პრემიიანად, აჩუქებინა, გამოაცხადებინა, ეს მისტერ ტრამპს უფრო ეკუთვნისო, მაგრამ მაინც არ მისცეს, არ გადაუფორმეს. უკრაინაში ომი ვერ დაასრულა, მაგრამ ხელშეკრულებით მთელი წიაღისეული გადაიფორმა, ანუ უკრაინის ქვეშ რაც რამ არსებობს, სულ მაგისია და მაინც არ მისცეს. თავი მეფედ გამოაცხადა - არ მისცეს. ირანის ხელისუფლება ერთ ღამეში გაჟუჟა, ირანი დაბომბა, მერე მშვიდობა დაამყარა და მაინც არ მისცეს.

ისრაელ-ლიბანზე არაფერი ვთქვათ? როდემდე უნდა ბომბოს ნეთანიაჰუმ ეს გაუბედურებული ქვეყანა? ან როდემდე უნდა გაუშვას რაკეტები ნეთანიაჰუმ ირანის მიმართულებით? რომ არა ტრამპი, ამდენს გაბედავდა? ვერ გაბედავდა და თან დაიმალებოდა, მიწის ქვეშ ჩაძვრებოდა, მეტიც, სული ციხეში ამოხდებოდა. ჰოდა, გაგიჟდა ოფიციალურმა პირმა ტრამპის სიტყვები გაიმეორა: "მე რომ არა, ახლა ციხეში იჯდებოდი, სულ შენი ტყავის გადარჩენაში ვარ, ახლა კი ამის გამო ყველას ეზიზღები, ყველას ეზიზღება ისრაელი ამის გამო"!

ტრამპმა მკაცრად მოითხოვა, რომ ისრაელმა შეეწყვიტოს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთის დაბომბვა. მისი თქმით, ეს ისრაელს მსოფლიოში კიდევ უფრო მეტ იზოლაციაში მოაქცევს და აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ ისრაელს აქვს უფლება, თავი დაიცვას ჰეზბოლას თავდასხმებისგან, ნეთანიაჰუს საპასუხო რეაქცია არის არაპროპორციული. ტრამპი, ასევე, შეაშფოთა ლიბანში მშვიდობიან მოსახლეობას შორის დიდმა მსხვერპლმა და იმ ფაქტმა, რომ ისრაელი ერთი კონკრეტული მეთაურის გასანადგურებლად შენობებს ანგრევს. თეთრი სახლის ლიდერის გაბრაზების მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ ისრაელის ესკალაცია ლიბანში საფრთხეს უქმნის ვაშინგტონსა და ირანს შორის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებს. მოგვიანებით ტრამპმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ნეთანიაჰუმ მისი თხოვნით ჯარები მოაბრუნა და ბეირუთში ფართომასშტაბიანი

ბატონი ტრამპი, ყელში ამოუვიდა ამდენი უსამართლობა. როგორც საერთაშორისო პრესა იტყობინება, ამას წინებზე ნეთანიაჰუსთან ჰქონდა უკიდურესად დაძაბული, ემოციური და უცენზურო სიტყვებით სავსე სატელეფონო საუბარი, რომელიც ლიბანში ისრაელის სამხედრო მოქმედებების ესკალაციას ეხებოდა. აშშ-ის პრეზიდენტმა ისრაელის პრემიერს ყვირილით უწოდა „f@cking crazy"!

ამერიკელი მაღალჩინოსნები იუწყებიან, რომ ტრამპმა ნეთანიაჰუ უმადურობაში დაადანაშაულა. ერთ-ერთმა ამერიკელმა რეიდი აღარ იგეგმება, ირანთან მოლაპარაკებები კი სწრაფი ტემპით გრძელდება.

გაგიჟდება კაცი, აბა, რა იქნება? ნეთანიაჰუს ადმინისტრაციამ განაცხადა, ჩვენი პოზიციები უცვლელია, სამხრეთ ლიბანში სამხედრო ოპერაციები მაინც გაგრძელდებაო. რა გამოდის? ნეთანიაჰუ „მსოფლიო მბრძანებელს" არ უჯერებს, სატელეფონო საუბრებში თავს უქნევს, „ოკეი, ოკეი"-ო, ეუბნება და მერე ისევ თავისას მიერეკება? ფაქტობრივად, ასეა.

ბატონი ტრამპი აცხადებს, ირანთან შეთანხმებას უკვე მივაღწიე, ცოტა ისრაელმა შემიშალა ხელი, თორემ ომი აქამდეც კაი ხნის დამთავრებული მექნებოდაო. 15 წუთში გამოდის ბრიტანელი ანალიტიკოსი ჯორჯ ჰალოვეი და ამბობს:

„ტრამპი, როგორც ყოველთვის, ტყუის. ირანთან არანაირი შეთანხმება არ არსებობს. ეს კვლავ მისი უკანდახევის შენიღბვის მცდელობაა."

ეს კიდევ არაფერი, ნახევარ საათში გამოდის ირანის მთავრობის წარმომადგენელი და მხრებს იჩეჩავს, ამერიკელებთან არანაირი მოლაპარაკება არ გვაქვსო.

„მსოფლიო მბრძანებელი" მაინც თავისაზე დგას, ჩვენ ახლახან მივაღწიეთ დიდებულ შეთანხმებას ირანთან ომის დარეგულირების თაობაზე, ახლა დოკუმენტების საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში ვართ. ეს მომდევნო რამდენიმე დღეში უნდა დასრულდეს. ხელმოწერა, სავარაუდოდ, ევროპაში შედგება და ეს შესანიშნავი ამბავია. საფონდო ბირჟა 1000 პუნქტით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ მათ ეს შეთანხმება მოსწონთო.

ირანის მთავრობა საგონებელშია, ჩვენთან არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, საინტერესოა, ტრამპი და მისი ხელქვეითები ვის ელაპარაკებიანო? მოკლედ, გააგიჟეს კაცი, ომების დამთავრება უნდა, აპირებს, ამთავრებს კიდევაც დღეში ცხრაჯერ, მაგრამ ესენი არ ამთავრებინებენ. ალბათ, არც იცით, რომ ირანთან ომის დასრულება იქნება მე-13 დასრულებული ომი. მე პირადად ვერ გეტყვით, წინა 12 ომი რომელი იყო, მაგრამ თვითონ ასე აცხადებს. პრინციპში, ორი ვიცი, ერთი იყო კამბოჯა-აზერბაიჯანისა, ხოლო მეორე - სომხეთ-ჩრდილოეთ კორეისა. მადლობა უფალს, ეს ომები უკვე წარსულს ჩაბარდა და აღარასდროს განმეორდება.

ტრამპის თქმით, აშშ-ს ირანის აღება და ქვეყნის დაკავება მცირერიცხოვანი ჯარითაც თავისუფლად შეუძლია, თუმცა, მას არ სურს, რომ ირანის მიწაზე ამერიკელი ჯარისკაცის „ბათინკი" დადგეს.

ეს იყო გუშინ, გუშინწინ თუ იმის წინ (ნეტავ, რა მნიშვნელობა აქვს?), აშშ-ში ხეირიანად გათენებულიც არ იყო, როცა დონალდ ტრამპმა განაცხადა, წუხელ ირანის საზღვაო ძალები, სამხედრო-საჰაერო ძალები, რადიოლოკაციური, ჰაერსაწინააღმდეგო და ყველა სხვა სახის თავდაცვის სისტემა გავანადგურეთო. არადა, სწორედ იმ ღამეს ირანელებმა ამერიკელებს ჩამოუგდეს ბომბდამშენი „შავი ქორი" და დაბომბეს მათი 18 სამხედრო ობიექტი სპარსეთის ყურის ქვეყნებში. ეს დამალა, გაატარა. პირიქით, მომდევნო დღეს გამოვიდა და ასეთი რამ თქვა:

„არ ვიცი, გსმენიათ თუ არა, ჩვენ დღეს ირანთან ომი დავასრულეთ. დათანხმდნენ, რომ არასდროს ექნებათ ბირთვული იარაღი,

რასაც ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით; ეს იყო მთელი მიზანი. ეს იყო ყველაფრის 95 პროცენტი".

ვააა, კაცოოო, ტრამპის ხასიათი და მისი სიგიჟეების შესახებ რომ არაფერი ვიცოდეთ, ჩვენც გავგიჟდებოდით. ჩვენ მხოლოდ იმიტომ არ ვგიჟდებით, რომ ვიცით, რამდენი პარასკევი აქვს კვირაში კი არა, ერთ დღეში. ახლა არ მითხრათ, ეს კაცი არჩევამდეც გიჟი იყო, უბრალოდ„ ვერ ვამჩნევდითო. აი, სწორედ მაგაშია საქმე, რომ ვერ ვამჩნევდით. რა გამოდის, მსახიობობს? თამაშობს? კი არის რაღაც ფილმებში მეასეხარისხოვანი როლების შემსრულებელი, მაგრამ ასეთი მსახიობი თუ იქნებოდა, მაინც არ გვეგონა. ისე, მე მაინც მგონია, რომ ეგ მსახიობი არ არის, ეგ ნამდვილად ძალაუფლებამ გააგიჟა. რაც პირველ ჯერზე ვერ მოიხვეჭა და გააკეთა, იმას ახლა ცდილობს.

მოკლედ, გავიდა რამდენიმე საათი და ბატონ ტრამპს ისევ წაუხდა ხასიათი:

„ირანის მიერ ყალბი მედიისთვის გაჟონილ პირობებს საერთო არაფერი აქვს წერილობით შეთანხმებულ პირობებთან. რაც მათ თქვეს, მათ შორის, შეთანხმების მიღწევის შესახებ, მათი სუსტი და საცოდავი განცხადება, სიმართლესთან არანაირ კავშირში არ არის. ძალიან არაკეთილსინდისიერი ხალხია, მათთან მოლაპარაკება შეუძლებელია. საოცარია! ასევე, გუშინ ღამით ჰორმუზის სრუტიდან გამოსული ინდოეთის გემების წინააღმდეგ დრონებით წარუმატებელი თავდასხმა სრულიად მიუღებელია. სჯობს, გონზე მოვიდნენ და სწრაფად"!

როგორ ფიქრობთ, ტყუის ახლა ალფრედოვიჩი? შევარდა ირანში, დაბომბა, ხელისუფლების წევრები გაჟლიტა, სულიერი ლიდერი მოკლა, მერე მოსახლეობა და ბავშვებიც დახოცა და წარმოგიდგენიათ? ძალიან არაკეთილსინდისიერები ყოფილან ირანელები, მაგათთან მოლაპარაკება შეუძლებელი ყოფილა. აშკარაა, ამერიკელებსაც და ნეთანიაჰუს გარემოცვასაც ეგონათ, რომ ირანს ერთი-ორ კვირაში მოუღებდნენ ბოლოს და არა მხოლოდ ჰორმუზის სრუტეს ჩაიგდებდნენ ხელში, არამედ მთელ ირანს დააწიოკებდნენ, მაგრამ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდნენ და კიდევაც აწყდებიან. რა უნდა ქნას ტრამპმა? ისევ ნეთანიაჰუს ნებას უნდა დაჰყვეს? დარწმუნებული ვარ, ნეთანიაჰუმ გადაურეკა და ნიშნისმოგებით უთხრა, ხომ გეუბნებოდი, რომ მაგათთან მოლაპარაკება შეუძლებელიაო? რასაც ისრაელის პრემიერ-მინისტრი ამბობს, ფაქტობრივად, არის ის, რაც მე ვთქვი -სანამ მე ისრაელის პრემიერ-მინისტრი ვარ, ირანს ბირთვული იარაღი არ ექნებაო, ამ საკითხზე ჩემსა და პრეზიდენტ ტრამპს შორის სრული თანხმობაა:

„ამ კამპანიის გარეშე, ირანს დიდი ხნის წინ ექნებოდა ატომური ბომბები ისრაელის გასანადგურებლად. ირანი ებრაული სახელმწიფოს განადგურებაზე მუშაობს და მე ჩემს ცხოვრებას ვუძღვნი იმას, რომ მათ ამის გაკეთებაში ხელი შევუშალო. სანამ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ვარ, ეს არ მოხდება".

14 ივნისს დონალდ ტრამპი 80 წლისა გახდა. მას უნდოდა, თავის დაბადების დღეს ერთიორი ომი მაინც დაესრულებინა და ცოტაოდენი დაესვენა, მაგრამ არ გამოვიდა, რაღა დაგიმალოთ და... გააგიჟეს კაცი, გადაიყვანეს ჭკუიდან.

ვნახოთ, როგორ და რანაირად განვითარდება მოვლენები, ალფრედოვიჩს კი ვულოცავთ დაბადების დღეს, ღმერთმა ჯანმრთელობა და გამძლეობა მისცეს მსოფლიო საგიჟეთში.

გელა ზედელაშვილი



დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!

„დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს!“ – „რკინის ფარდაში“ გამომწყვდეული ბავშვი ამ ლოზუნგითა და სხვადასხვა „ზნაჩოკებით“ წამოვიჩიტე.

რა ჩემი ბრალია, ხუთი წლისა და ცხრა თვის ვიყავი, მერხთან რომ დამსვეს და რა უნდა გამეგო...

ის რა იყო, ბავშვებს რომ პანაშვიდებსა და გასვენებებზე დაგვატარებდნენ. ჰოდა, ასე ვნახე გულზე გარდაცვლილის სურათმიბნეული ქალი და, რომ მითხრეს, რაშიც იყო საქმე, დარდით აღარ ვიყავი – სკოლაში წასვლას ვესწრაფოდი და, ცოტა არ იყოს, სურვილი გამინელდა, რადგან აღმოვაჩინე, რომ ვინც წინა წელს წავიდა სკოლაში, უცბად ყველას ძმა მოუკვდა.

მე ძმა არ მყავდა, მაგრამ ის კი გავიაზრე, რომ ვიღაცის ძმის სურათი მაინც უნდა მიმეკრა გულზე. რადგან წითელ ვარსკვლავში იყო ბავშვის სურათი, ახსნის გარეშე დავასკვენი, რომ, რადგან ბავშვები ანგელოზებს მიჰყავდათ, მათი ადგილი ვარსკვლავზე იყო და არა მიწაში.

ცოტა რომ დავკვალიანდი, გავიგე, რომ საყვარელი ბავშვი, ყველას რომ მისი „ბროშკა“ გვეკრა გულზე, ვიღაცის ძმა კი არა, პროლეტარიატის ბელადი ყოფილა და ყველას მამა, მაგრამ ახლა უკვე სხვა საგონებელში გადავვარდი – რატომ ვიყავი ოქტომბრელი, როცა დეკემბრელი ვიყავი, - ჩემთვის აუხსნელი ამბავი იყო.

მალევე წითელი ყელსახვევი წამომეწია და რაღაც ფიციც დავდე, მაგრამ ვერაფრით შევიგნე, რას ვიფიცებოდი დედის დაფიცების პარალელურად და ფიცდადებული რომ ვიყავი, ამის ნიშნად ის წითელი ნაჭერი რატომ უნდა მქონოდა ყელზე შებმული. და მაინც, არასდროს დამრჩენია სახლში ის წითელი ყელსახვევი, რადგან, ვისაც დარჩებოდა, მის მშობელს სკოლაში იბარებდა კლასის დამრიგებელი და ტუქსავდა, მე კი, მკაცრი დედის შვილს, წარმოდგენაც არ მინდოდა იმისა, როგორ განრისხდებოდა ჩემ გამო დატუქსული დედაჩემი.

სუფრახვავიან ბიძაჩემს გზებზე სუფრის გადაფენა უყვარდა. შესაბამისად, კოცონი და მწვადის შიშხინი ჩემი ბავშვობის თანმდევი პროცესი იყო. ჰოდა, რომ აღვიქვი, უფროსკლასელებს კოცონის „ბროშკა“ ეკეთათ გულზე, მეც მომინდა, რადგან მიმაჩნდა, რომ მრავალ კოცონშემსწრეს, მე ის „ბროშკა“ დამსახურებულად მეკუთვნოდა. დროულად ვერ ვეღირსე, რადგან ისე დამსაჯეს, რომ სკოლას როცა ვამთავრებდი, მაშინღა მოისხეს მადლი – რადგან კარგი მოსწავლე ვიყავი, უკომკავშიროდ კი ვერ ჩავაბარებდი უმაღლეს სასწავლებელში, არ გამწირეს, მაპატიეს. რა დავაშავე და, მე-8 კლასში კლასის ჟურნალი დავწვი თანაკლასელი მეგობრების ორიანების დასამალად. აბა, რა ღირსი ვიყავი საბჭოთა კომკავშირლობისა! მაშინ წამომიტივტივეს თავადი წინაპრები და ლამის ბიძაჩემებად გამოაცხადეს კოლჩაკიც, დენიკინიცა და ვრანგელიც.

კიდევ უფრო გავიზარდე და ლოზუნგი დამერთო „დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს!“ არც ამ ლოზუნგის არსს მიხსნიდა ვინმე, მაგრამ აშკარა იყო, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს მივდევდით და ვერ ვეწეოდით.

რაღაც მომენტში რაღაც მოხდა ეტყობა და, დაკონკრეტდა: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!“

სპორტი და მე განუყოფლები ვიყავით, ამდენად, სირბილის მეტი რა ვიცოდი, მაგრამ ამხსნელი არ არსებოდა და ვერ ვიგებდი, ვირტუალურად რას დავჭენაობდით...

რას მოვაყოლე ამხელა ამბების გახსენება და იმას, რომ ახლა სრული შეგნებით მინდა რომ დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს საერთაშორისო მასშტაბებით გინებაში!

მიხეილ სააკაშვილისა არ იყოს, – იმას ვდარდობდი, ეს ჩვენის პატივცემულები რას ბალერინობენ შიდა და გარე მტრებთან-მეთქი და ახლა მეც მაიძულებენ, რომ ვიბალერინო – ვინმეზე ცუდი სიტყვები არ თქვაო.

ბიჯოო, ქამარხანჯლიანი და ჩოხაახალუხიანი კაცის ბალერინობა რა სპორტია?

2026 წლის 1-ელი ივნისიდან „სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის“ სამმართველო ამოქმედდა, რომლის მთავარი ფუნქციაც სოციალურ ქსელებსა და მიდიასივრცეში გავრცელებული განცხადებების მონიტორინგიაო.

მე არ ვიცი, რა იგულისხმება „სიძულვილის ენაში“ და რითი გაზომავენ, მაგრამ თვითონ თუ იციან, ნეტავ? თუ იციან, ჩვენც გვითხრან, ასე ჰაერზე ნასროლი მონიტორინგისა რა გავიგო?

მე ვიყო წყალქვეშა მეხანძრეთა დანაყოფის უფროსი, თუ რამე მესმოდეს – პიროვნულ შეურაცხყოფაზე კანონი არ გვქონდა?

პირველადი დარღვევის შემთხვევაში, სანქცია 1500-დან 4000 ლარამდე ჯარიმას ან 45 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, განმეორებითი ქმედება კი 2500-დან 6000 ლარამდე ჯარიმით ან 5-დან 60 დღემდე პატიმრობით ისჯება, რასაც იარაღის ტარების უფლების ჩამორთმევაც ემატებაო.

იარაღი არ მაქვს და რა ჩემს ფეხს ჩამომართმევენ, მაგრამ არც რომ 1500 ლარი მაქვს, ეს ამბავი როგორ გამოეწყობა, სახლს დამიყადაღებენ და ჯარიმას ყოველთვიურად გამიზრდიან? – ტაში, მეგობრებო, ჩემი ცოლის მაზლი ცეკვავს!

ეს „ზეშიკარნი“ მუხლი იმდენად ზედმეტად ფართო და სუბიექტურია, რომ თვითნებური ინტერპრეტაციის ისეთ მაღალ რისკებს აჩენს, სამთო-საბალეტო სკოლის დირექტორობაზე უნდა ვიჩალიჩო.

არ მინდა ბალერინობა, „დავეწიოთ და გავუსწროთ აშშ-ს!“

შენ გენაცვალე, ტრამპი ბიძია!

ბოდიში მომითხოვია ყველა იმ გლახაობისთვის, რაც აქამდე შენთვის გამოვწერე. შენ ყოფილხარ კაცი კაცური!

ბალერინულად ასე თქმის: ტრამპს ნეთანიაჰუსთან ჰქონდა უკიდურესად დაძაბული, ემოციური და უცენზურო სიტყვებით სავსე სატელეფონო საუბარი, რომელიც ლიბანში ისრაელის სამხედრო მოქმედებების ესკალაციას ეხებოდა. აშშ-ის პრეზიდენტმა ისრაელის პრემიერს ყვირილით უწოდა „**f@cking crazy**“!

ყანყრატოში გენაცვალე, ტრამპულიკ!

ამ „წყაროებმა“ ხომ შემიკლეს, მაგრამ ასე ამბობენ და – წყაროების თანახმად, ტრამპმა ნეთანიაჰუ „მიწასთან გაასწორა“.

მიწასთან არა, მარიანის ღრმულთან! – აგინა დედის სპანსერი და იმანაც შეირგო.

მოგვიანებით ტრამპმა **Truth Social**-ზე დაწერა, რომ ნეთანიაჰუმ მისი თხოვნით „ჯარები მოაბრუნა“ და ბეირუთში ფართომასშტაბიანი რეიდი აღარ იგეგმება, ირანთან მოლაპარაკებები კი „სწრაფი ტემპით გრძელდება“.

გინება გულის მოოხებაა, თორემ, რაც გინებით გამოიხატება, იმას ამსრულებელი არ ჰყავს. შესაბამისად, ადრესატი ისევ იგივეს მიირთმევს დიდი კოვზით – ნეთანიაჰუს ოფისმა განაცხადა, რომ მათი პოზიცია უცვლელია და სამხრეთ ლიბანში სამხედრო ოპერაცია მაინც გაგრძელდება.

ჰო, ტრიფონის ვარიანტია, ლიბანში კვახი დარჩა ეტყობა, ნეთანიაჰუს და მატარებელი მოაბრუნა.

ის წყაროები ამბობენ, რომ ტრამპისა და ნეთანიაჰუს სატელეფონო საუბარი გინების ფართო სპექტრის შემცველი იყო და ერთ-ერთი ყველაზე ცუდი რამ, რაც ამ ორ მამაკაცს შორის ტრამპის თანამდებობაზე დაბრუნების შემდეგ მოხდაო.

დიახაცო. ვადასტურებ, რომ ლიბანში ზავის ჩაშლის გამო ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს სულ „შეშლილი ნაბიჭვარი“ ვუძახეო, – განუცხადა ტრამპმა გამოცემა „**New York Post**“-ს.

მე კიდე თარგმანი არ მომწონს, რადგან, რაც უძახა, ქართულად „შეშლილი ნაბიჭვარი“ არ ესადაგება, სიტყვა-სიტყვით ასე ითარგმნება: „შენი გიჟი დედა კი მოვ...ან!“ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში ფილმის ანონსი იყო გამოკრული, „ესკადრილია ლეტუჩიხ მიშ“– ჩემი თვალთ მაქვს ნანახი და თარგმანი იყო „ეს რა იკადრა მფრინავმა მიშამ“ – ეგ ვარიანტია, რა�ა...

მანამდე, რაც ტრამპმა საჯდომზე კოცნები დახატა სიტყვიერად და სახით ახოხიალა ზელენსკიდან დაწყებული, ვინცხა იმითი დამთავრებულები, ეს კიდევ ცალკე „სიძულვილის ენებია“.

ისა და, ფეხბურთის უცხოელ მსაჯზე უცხო ენაზე რომ ვიყვირო: „სუდია, პიდარასტ!“, მაინც დამაჯარიმებენ და გამატყავებენ?

ე ბიჯო, მომწყინდა „კუხნაში“ გინება – გადამიხადეთ ვინმემ პირველადი ჯარიმის ფული და ერთხელ მაინც მაგინებინეთ, ვინც მინდა!

სხვანაირად ვერ დავეწევით და, გინებაში მაინც დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!

ზურა ოშხერელი

თვალსა და ხელს შუა გამოჭვინდა ხალხი



რომანში „მკვდარი სახლის ჩანაწერები“, დოსტოევსკი გვიამბობს ფსიქოლოგიურ ფენომენზე, რომელიც მან პატიმრებში მათთან ყოფნის დროს დააფიქსირა. ის აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ ეს თვისება არა მხოლოდ პატიმრებისთვის, არამედ ციხის კედლების გარეთ მყოფი ადამიანებისთვისაც იყო დამახასიათებელი, რადგან გარეთ მყოფები სულაც არ არიან უკეთესები, მეტიც, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად დამნაშავენი არიან, ვიდრე ციხეში მყოფები...

ეს ფენომენი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი პატიმარი განზრახ იწყებს ჩხუბს - არა მტრობის გამო და არა იმიტომ, რომ სიტუაცია ნამდვილად მოითხოვს კონფლიქტს. ისინი ჩხუბობენ იმის გამო, თუ რა მოხდება შემდეგ. ბევრი იწყებს მათ შერიგებას, დარწმუნებას, რბილად საუბარს, უბრალოდ, იმისთვის, რომ ჩხუბი შეწყვიტონ. ამ მომენტებში ასეთი ადამიანები გრძნობენ საკუთარ ღირებულებას. სიტყვაც კი, რომელიც მათ სხვების თვალში ამაღლებს, ძლიერ გავლენას ახდენს მათ სულზე.

ისინი ბოროტები არ არიან, როგორც ადამიანების უმეტესობას წარმოუდგენია. ისინი ყურადღებას ითხოვენ, ნატრობენ ნებისმიერ სიტყვას, რომელიც მათ აამაღლებს და კვდებიან იმ სურვილით, რომ მიიღონ თუნდაც მცირედი შესაძლებლობა, რომ პატივცემულნი იყვნენ ირგვლივ მყოფთა თვალში!

ვუყურებ ამ ჩვენს უსამშობლოებს და პარალელურად მესმის მათი დახასიათება: „იცი, რა ჯიგარი ტიპია?“ „იცი, რა საყვარელია?“ „იცი, რა გულითადი ადამიანია?“ და ა. შ. არავისზე მომისმენია; „ეგ ცხოვრებაშიც ისეთი უვარგისია“ ან რაიმე ამდაგვარი, რაც უარყოფითად დაახასიათებს – რაღაც არის მათში „დოსტოევსკისეული“...

ერთადერთი, რა კატეგორიაც ერთნაირია ყველა რაკურსით, ინტელექტით სრულ ნულზე მყოფი ის ბოგანოები არიან, ქუჩამ რომ წარმოშვა და წარმოდგენა რომ არ აქვთ, ჭამისა და სექსის გარდა კიდევ რა უნდათ, მათ მხოლოდ ტკივილის შეგრძნება აქვთ და გინების აღქმა. რაგინდ გაისარჯო და აუხსნა საქმის ვითარება, მათ ვერაფერს გააგებინებ ფიზიკური შეურაცხყოფის ან ბილწსიტყვაობის გარეშე.

სხვათა შორის, ჩემ გარშემოც მეგულება სამი-ოთხი ასეთი ადამიანი. თავმომწონეობენ, საზოგადოებაში გარკვეული ადგილი უკავიათ, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“ არიან. ელაპარაკები, გისმენს, გგონია, რომ შენი ნათქვამიდან აზრი გამოიტანა, გაიგო, მაგრამ მალევე შედეგით ხვდები, რომ ვერაფერი გაუგია, მხოლოდ მოუსმენია. ანოზოგნოზია სჯირთ-მეთქი, დავასკვენი, მაგრამ უფრო ღრმად მოვინდომე ჩაწვდომა და მხცოვან მედიცინის მუშაკს ვკითხე ამის შესახებ. აღნიშნულ პიროვნებას მე ე. წ. სამხედრო ექიმად ვიცნობ, მაგრამ რატომ არ მომცა უფლება, მისი ვინაობა რომ მიმეთითებინა, მხოლოდ ეჭვით ვხვდები.

– მოდი, ასე ვთქვათ – იყვნენ და არიან ადამიანები, რომელთაც ფსიქიკა მეტად უცნაურად აქვთ მოწყობილი. ისინი ვერაფერს იგებენ, რაგინდ წყნარად და მშვიდად აუხსნა სრულიად ელემენტარული საკითხები. ჩემ გვერდზეც აღმოვაჩინე რამდენიმე ასეთი ადამიანი. დიაგნოზიც დავუსვი - ანოზოგნოზია. რეალურად, რა არის ამის მიზეზი?

– ამის მიზეზი არის ჰიპოკამპის ჯირკვალი, რომელიც ძალიან დაბალი ტევადობისაა. ეს ჯირკვალი ოპერატიული მახსოვრობის ცენტრია, რომელიც 3 წამში შიფრავს და ინახავს ვიზუალური, ბგერითი და ტაქტილური გზით შესულ ინფორმაციას. ჰიპოკამპის ჯირკვალი საჭირო ინფორმაციას გადააგზავნის თალამუსში, ხოლო არასაჭიროს წაშლის 30 წამში. აი, ზუსტად ამ ჯირკვლის დაზიანება იწვევს მათ ცნობიერებაში ერთგვარი სპეციფიკური ალგორითმის სინთეზირებას, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში აქტიურდება თუ „ველურს“ ძლიერ ტკივილს მიაყენებ, – საუბარია ნებისმიერ ტკივილზე, ფიზიკურზეც და ფსიქოლოგიურზეც. ასეთს თუ „წიხლით“ არ შედგები, ვერ იგებს, რას ითხოვ მისგან. ასე ხდება ცხოველებშიც – სანამ ცხოველს ერთი კარგად არ მოსცხებ, ის არ შეასრულებს შენს დავალებას. ტკივილის განცდის შემდეგ იწყებს მათი ცნობიერება ამუშავებას, ანუ პრიმატებს მხოლოდ ტკივილზე აქვთ რეაქცია !

აი, ზუსტად ეს მექანიზმი მუშაობს პრიმიტივი და გაუნათლებელი ადამიანების ტვინშიც, თუ არ ატკინე, ისე ვერაფერს შეაგნებინებ...

– რა ვქნა, შოლტით ხომ ვერ დავერევი...

– შოლტით ვერც მე დავერევი, ამიტომ ვიყენებ „მეთოდს“ – ბილწსიტყვაობას, რომ როგორმე შევაგნებინო სამუჯრედიან იმბეცილებს, რას ვეუბნები. ამიტომაც ვიწყებ მათ ლანძღვა-გინებას, რომ როგორმე მათ ცნობიერებაში გამოვიწვიო ემოციური პროტესტი, ერთგვარი სულიერი ტკივილი.

– გინებაზე ადვილი რა არის, მაგრამ შედეგი ხომ ინსტინქტის დონეზე იქნება და არა შეგნებით...

– ამ დროს მათი ნეოკორტექსი აქტიურდება და ინტელექტუალური მექანიზმი იწყებს რამდენიმე წამით ფუნქციონირებას, ზუსტად ამ დროს შედის „პრიმიტივის“ ცნობიერში ის ინფორმაცია, რომელიც გინდა, რომ შეაგნებინო. საკმარისია, მშვიდად და სიყვარულით მიმართო ამ გამოქვაბულის პრიმიტივ ადამიან-ბანდერლოგებს, რომ იმწამს აქეთ დაგიწყებენ ჭკუის დარიგებას და ცხოვრებასაც გასწავლიან „უმაღლეს დონეზე“, თან უფლის ნებით. ხომ მიხვდი ახლა, რატომ არის საჭირო ამდენი გინება და „ბილწი“სიტყვები?

– გინებ-გინებით ხომ არ ვივლი...

– ბანდერლოგებს სხვაგვარად არ უმუშავებთ ცნობიერება. ასეთები ყიამყრალად მიცნობენ, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია, მათთან რამე გააწყო. არადა, კატასტროფულად მომრავლდნენ – სხვანაირად ვერ იგებენ და როგორ გავაგებინო? როცა დედის სახელს აფარებ თავზე, ზუსტად ამ დროს მათი ცნობიერება აქტიურდება შემეცნების კუთხით და ზუსტად იმ მომენტში ვაწვდი საჭირო ინფორმაციას, რომ მათ გამოტვინებული სითხით სავსე ტვინში რაღაც ელემენტარული ცოდნა მაინც შევიტანო. ეს ძალიან რთულია, არნაიარად არ მეხალისება, მაგრამ სხვა გზა არ არის. თვალსა და ხელსშუა შემაძრწუნებლად გამოტვინდა ხალხი ბოლო 30 წლის განმავლობაში – გუშინწინ რომ ნორმალურად ჰქონდა აღქმები, დღეს რომ ველაპარაკები, თავს კი მიქნევს, გავიგეო, მაგრამ შუშის თვალებით მიყურებს და აშკარაა, რომ მხოლოდ ყურში ესმის, ტვინში არ ასდის.

– მე თქმა ვიცი ხოლმე, ისე მიყურებდა, თითქოს სხვა პლანეტიდან მოვფრინდიო-მეთქი...

– ყველანი „იქიდან“ მოვფრინდით...

ადენინი, თიმინი, ციტოზინი, გუანინი – ესენი დნმ-ის შემადგენელი აზოტოვანი ფუძეებია, რომელიც უმთავრესი საშენი მასალაა უჯრედისა. ეს აზოტოვანი ფუძეები ერთგვარი ალგორითმით არის განთავსებული დნმ-ის ჯაჭვში. რა არის ამაში გასაკვირი? რა არის და ზუსტად ამაშია გორილას თავი დამარხული.

ბიოლოგიაში ჩახედულმა ადამიანმა კარგად იცის, რომ ეს აზოტოვანი ფუძეები „შიფრს“ ქმნიან, რომელიც ერთგვარ ინფორმაციულ ბაზას ქმნის არსებული უჯრედის აგებულებასა და მის სტრუქტურაზე, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ინფორმაციულ ჯაჭვში ეს უცნაური ფუძეები გარკვეული მონაკვეთებში უცნაურად მეორდება და სრულიად იდენტურია. უკეთ

რომ გაიგოთ, ადენინი, ციტოზინი, გუანინი და თიმინი ერთგვარი კოდებია, რომლებიც დნმ-ის ჯაჭვში გარკვეული ალგორითმით არის ჩაწერილი. აი, ზუსტად ამ ალგორითმში ფიქსირდება დიდი უცნაურობა – გარკვეულ უბნებში შიფრი იდენტურად მეორდება!

მეცნიერებმა არაფერი არ იცოდნენ ამ უცნაურობის შესახებ, მაგრამ კორეელმა გენეტიკოსებმა 2007 წელს ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს მეტად უცნაური მოვლენა იხილეს – ადამიანის დნმ-ში არსებული ადენინი და ციტოზინი მეტად უცნაურად იქცეოდნენ გარკვეული ქიმიური რეაქციების დროს. მსგავსი მოვლენა არცერთ სხვა ბიოლოგიურ სუბსტანციაში არ ფიქსირდებოდა. მეცნიერებს ეს მოვლენა შემთხვევითობა ეგონათ, მაგრამ რამდენიმე სპეციალური ცდის ჩატარების შემდეგაც იგივე შედეგი რომ მიიღეს, ეს უკვე ნამდვილი სკანდალი იყო სამეცნიერო წრეებში. „ევოლუციის თეორიის“ მამებს შავი დღეები დაუდგათ.

საქმე ის გახლავთ, რომ ბუნებაში არსად მსგავსი ალგორითმი არ არსებობს, ეს მხოლოდ ადამიანის გენომშია დაფიქსირებული და მეცნიერებმა თავში ხელი შემოირტყეს – გამოდის, რომ ადამიანი ხელოვნურად შექმნილი ბიოლოგიური ჰიბრიდი ყოფილა, რომელშიც სულ ცოტა, 3 ბიოლოგიური სახეობის დნმ-ია შერეული. ბუნებას სხვადასხვა ბიოლოგიური სუბსტანციების შერევა არ ახასიათებს, ყველა სახეობას საკუთარი დნმ აქვს და ბუნებრივ გარემოში სხვადასხვა სახეობების ერთმანეთში აღრევა არსად ფიქსირდება!

ეს იყო ნამდვილი აპოკალიფსი დარვინისტების ბუნაგში. ევოლუციონისტებს საშინელი დღე დაუდგათ, უნდა ელიარებინათ ევოლუციის თეორიის სრული აბსურდულობა და ყველა დარვინისტ „აკადემიკოსს“ უნდა დაეთმო საყვარელი რეგალიები თბილ სავარძელთან ერთად. რომელიმე ვაიმეცნიერმა დათმო თბილი სავარძელი? – მეტი საქმე არ ჰქონდათ!

ერთხანს მწყინდა, ჩემს საუბრებში მხოლოდ ბილწ სიტყვებს რომ აქცევდნენ ყურადღებას და „მასალის“ შინაარს ვერც კი აცნობიერებდნენ, მაგრამ ახლა ეგეც აღარ მწყინს. როდესაც იცი, რატომ მივმართავ ამ „ხრიკს“ და მაინც გეხამუშება ბილწსიტყვაობა, მაშასადამე, შენც პრობლემა გაქვს ტვინში!

– იგინეთ, ბატონო – მე წავალ და, ჩემებს რომ შევატყობ, ვერ იგებენ, რას ვეუბნებით, მეც ვაგინებ. მე რომ თქვენი ფორმით ფართო საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია, ანუ სამუჯრედიან იმბეცილებს, საერთოდ ვერაფერს ვერ გაიგებენ ბილწსიტყვაობის გარდა – მთლად უუჯრედოებში ვარ? გაუაქტიურდებათ კი არა, უფრო ჩაეკეტებათ თუ რამე არხი ჰქონდათ გახსნილი. თვალწინ დამიდგა ყველა მათგანის გაოცებული სახე და გავხალისდი, არადა, 100%-იანია ყველაფერი...

– ვერ შეაგნებინებ მორწმუნე ბრიყვებს, რადგან წერა-კითხვა არ იციან და ამ მასალას წაიკითხავს რომელიმე?

– წერა-კითხვა კი იციან, მაგრამ ეჭვი მაქვს, ვერ გაიგებენ... ვეცდები, ყველაფერი მარტივად გასაგებად გადმოვცე „ცუდი სიტყვების“ გარდა. მაინტერესებს რეაქცია, საკუთარ თავს თუ იცნობს რომელიმე. თუ გამპუტეს, სეირი იქნება... ჩვენი ეს საუბარი იქნება გაკვეთილი N1.

– ჩემს საუბრებში ცუდი სიტყვები არ არსებობს. კონტექსტში „ცუდ სიტყვებს“ როდესაც ვსვამ, ასეა საჭირო. ხომ გეუბნები, „ძალადობა“ იმიტომ დაიკერეს ენაზე, რომ სხვა არაფერის აღქმა არ აქვთ...

– მე მაინც გავალამაზებ, უხერხულია გაზეთში... ყველა თვითონ მიხვდეს, სად იყო „ცუდი სიტყვები“...



მაკა ჯაყელი

ცერნი ბაითიბეგა?

რა მოხდა 2026 წლის 2 ივნისს 3:33 საათზე

თუ არ წაგიკითხავთ ჩემი ინტერვიუ ფიზიკოს ვლადიმერ ჭანტურიძესთან, ამასთანავე, არ იცით, რა არის „ცერნი“, „შუმანის სიხშირე“ და „მედ-ბედი“, დროს ნუ დაკარგავთ, კითხვას ნულარ განაგრძობთ, რადგან აღარ ვაპირებ, კიდევ და კიდევ განვმარტო ეს ყველაფერი, და, შესაბამისად, გაუგებარი იქნება წინამდებარე ინფორმაცია. აქვე განვმარტავ, რომ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ორივე პოზიცია მაქვს დაფიქსირებული და ორივე ავტორს მოვახსენე, რომ 29 ივნისს გადავწყვეტ, რა დავიჯერო, რა არის მითი და რა არის სინამდვილე. რა თარიღია ეს, ინფორმაციიდან შეიტყობთ. პასუხს მე ნუ მომთხოვთ, ფიზიკის საწყის დონეზე მცოდნე ფიზიკის მოყვარული ვარ და არა ფიზიკოსი, ამიტომ შეკითხვები მეც გამიჩნდა.

ინფორმაცია – 2026 წლის 2 ივნისს, ზუსტად 3:33 საათზე, აღმოსავლეთის დროით (რა იგულისხმება „აღმოსავლეთის დროში“, როგორც, ვთქვათ, ჩვენ რომ 2-3-საათიანი სხვაობა გვაქვს ევროპასთან? მიზეზთა გამო დროის დაზუსტება მინდა), გლობალურ ელექტროქსელში მასიური, აუხსნელი ენერგიის ტალღა შეიჭრა. შუმანის რეზონანსი არა მხოლოდ გაძლიერდა, არამედ 14 წუთით გაჩერდა. ნულოვანი გამომავალი. სრული ელექტრომაგნიტური სიჩუმე მთელ პლანეტაზე. აბსოლუტური ნულის 14 წუთი.

ამ 14 წუთის განმავლობაში, ძველი **SWIFT** საბანკო სისტემა სამუდამოდ გათიშული იყო გლობალური ქსელიდან. ღრმა სახელმწიფოს ფინანსური არტერიები, რომლებიც აფინანსებდნენ ომებს, ადამიანებით ვაჭრობას და შანტაჟის ოპერაციებს – ჩვენ გათიშული ვიყავით. **QFS** კვანტური რეესტრი ჩაიკეტა დილის 3:47 საათზე. ყველა ტრანზაქცია, ყველა მოპარული დოლარი, ყველა დაფარული ანგარიში შვეიცარიაში, კაიმანის კუნძულებსა და ვატიკანის ბანკში გამოაშკარავდა და გაიყინა.

ეს გადარიცხვა დასრულებულია. ამის გაუქმება შეუძლებელია.

რატომ ჩაატარა ევროპის ცენტრალურმა ბანკმა საგანგებო დახურული შეხვედრა ჟენევაში 3 ივნისს?

რატომ დაფრინავენ სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავები სიბნელეში - გამორთული ტრანსპონდერებით - ატლანტის ოკეანის თავზე ზედიზედ 72 საათის განმავლობაში?

რატომ გადადგა ფედერალური რეზერვის უფროსი თანამდებობის სამი პირი ახსნა-განმარტების გარეშე 28 მაისიდან 1-ელ ივნისამდე?

თუ ჩავთვლით, რომ ინფორმაცია სიმართლეა, ცხადია, რომ ისინი პანიკაში არიან. მათი სიმდიდრე, რომელიც კაცობრიობას 200 წლის განმავლობაში მოპარეს, გაქრა.

ისინი ვეღარ აკონტროლებენ ფულს.

ისინი ვეღარ აკონტროლებენ სიხშირეს.

ისინი ვეღარ აკონტროლებენ ვადებს.

12 ივნისს, შუადღეს ფეისბუქზე და ინსტაგრამზე რომ გაითიშა, ჩვენთანაც გაითიშა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა პრობლემების შესახებ შეტყობინებები.

პრობლემები შუადღის 2:36 საათზე დაიწყო, მონიტორინგის საიტზე 41 000-ზე მეტი ინციდენტი დაფიქსირდა. მათგან, ვინც პრობლემები შეატყობინა, 68%-მა თქვა, რომ აპლიკაციასთან დაკავშირებით სირთულეებს განიცდიდა, ხოლო 12%-მა ვერ შეძლო შესვლა. დანარჩენი 10%-ის თქმით, პრობლემა სერვერის კავშირს უკავშირდებოდა. ვინმემ თუ მიიღეთ დამაჯერებელი ახსნა, რა მოხდა, არ ვიცი.

ითქვა, რომ 29 ივნისს **ცერნი** გაითიშება. გვითხრეს, რომ ეს ტექნიკური მომსახურების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ნამდვილად ასეა?

დიდი ადრონული კოლაიდერი, რომელიც კი ოდესმე აგებულა, 2026 წლის 29 ივნისს გაითიშება. სამუდამოდ გამორთულია ე. წ. „ხანგრძლივი გამორთვა-3“-ის ფარგლებში. გითხრეს, რომ ეს განახლება იყო რუტინული და ტექნიკური, მაგრამ შიდა გრაფიკი არ ემთხვევა ერთმანეთს.

LS3 თავდაპირველად 2028 წლისთვის იყო დაგეგმილი. ის ორჯერ გადაიდო. ბოლო აჩქარება 2026 წლის პირველ კვარტალში მოხდა - მესამე ცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი თვის შემდეგ. არ გადაიდო. არც გამოქვეყნებულა.

ყოფილი მონაცემთა ანალიტიკოსი, რომელიც 6 წელი **ცერნ**-ის გამოთვლით ცენტრში მუშაობდა და სამსხური დატოვა 2025 წლის ნოემბერში: „2025 წლის სექტემბერში, 13.6 **TeV** სიმძლავრის მესამე გაშვების დროს შეჯახებებმა გამოავლინა ანომალია 7-L სექტორში. ეს არ არის ნაწილაკი. ეს არ არის ანტიმატერია. რეზონანსული ხელმოწერა შესაბამისი მასის გარეშე. ენერგია მოდიოდა წყაროდან, რომელიც არ გვხვდება სტანდარტულ მოდელში. მონაცემები მონიშნული იყო, როგორც მე-5 დონე. მე-5 დონე ექვსი წლის განმავლობაში არ მინახავს!

72 საათის განმავლობაში მონაცემთა ნაკრები გადატანილი იქნა კერძო სერვერზე. წვდომა 340-ზე მეტ მკვლევარს არ მიეცა. შიდა მემორანდუმში მოხსენიებული იყო „პროტოკოლი-7“ – აღნიშვნა, რომელიც არასდროს მინახავს **ცერნის** დოკუმენტაციაში!

სამი კვირის შემდეგ, LS3 გადმოიწია 2028 წლიდან 2026 წლის ივნისამდე. ეს დამთხვევა არ არის!

13 მილიარდი დოლარის ღირებულების მანქანას ორი წლით ადრე არ თიშავენ ტექნიკური მომსახურებისთვის!“

რა აღმოაჩინეს მათ? სტანდარტული მოდელი ხსნის სამყაროს 5%-ს. დანარჩენი 95% - ბნელი მატერია, ბნელი ენერგია – არ არის „დაკარგული“. ისინი რაღაცის მეორე მხარეს არიან. **ცერნი** შეიქმნა კარის საპოვნელად. მესამე გაშვებამ იპოვა ის. ისინი არ იხურება ტექნიკური მომსახურებისთვის. ისინი იხურება იმიტომ, რომ მათში გავლილი სითხის შეკავება შეუძლებელია მანქანის მუშაობის დროს.

29 ივნისი. მანქანა ითიშება. მაგრამ ის, რაც მან გახსნა, არ იხურება. როდესაც დენს თიშავთ, დენი არ ქრება. ტესლამ ეს იცოდა. მან ამის შესახებ 1899 წელს დაწერა – სიგნალები ჩვენი განზომილებიდან, რომლებიც კოლორადო სპრინგსში მიიღეს. მისი დოკუმენტები უცხოელთა საკუთრების ოფისმა 1943 წელს ჩამოართვა. ისინი გამოიკვლია დოქტორმა ჯონ გ. ტრამპმა, პრეზიდენტის ბიძამ. სამი თაობის შემდეგ, შვილიშვილი ოვალურ კაბინეტში ზის. მანქანა ითიშება. დრო შემთხვევითი არ არის.

ამას მედიები არ გვეტყვიან, რადგან მათ სურთ, სულ მუდამ შიშის ქვეშ ვიყოთ. არადა, საოცარი ფაქტი უკვე მოხდა, სიხშირე დაირღვა.



2026 წლის 2 ივნისს, გლობალურმა ელექტროქსელმა განიცადა 14-წუთიანი ენერგიის ტალღა, რამაც შუმანის რეზონანსი შეაჩერა. ძველი **SWIFT** საბანკო სისტემა დაიხურა და საიდუმლო ფინანსური ტრანზაქციები გაიყინა. მსხვილი ბანკები და სამთავრობო ჩინოვნიკები პანიკაში არიან. გარდა ამისა, დაიწყო ოპერაცია „გენეზისი“ - დნმ-ის სიხშირის ხელახალი კალიბრაცია. პირველმა 10 000-მა მოქალაქემ უკვე გაიარა პროცედურა. ასევე დაიწყო ოპერაციის - „სიბნელის 10 დღე“ უკუთვლა, რომელიც, როგორც ამბობენ, სისტემის დამრღვევთა მასობრივ დაპატიმრებებს დაიწყებს.

Cocoon AI-ის შეჯამება:

ლი ბუნებრივი ელექტრომაგნიტური ფენომენი. მისი „14 წუთით ნულზე ჩამოსვლა“ გლობალურად ფიზიკურად არ დაფიქსირებულა.

SWIFT არ დახურულა – მსოფლიოს ბანკები დღემდე იყენებენ **SWIFT** სისტემას. მისი გათიშვა მსოფლიო ეკონომიკურ ქაოსს გამოიწვევდა და ეს ყველა მედიაში გაჟღერდებოდა.

QFS რეალური გლობალური საბანკო სისტემა არ არის. ეს კონსპირაციულ წრეებში გავრცელებული იდეაა.

„მედბედები“ – თითქოს სასწაულებრივად კურნავენ ყველა დაავადებას. ამის არსებობის არცერთი დადასტურებული მტკიცებულება არ არსებობს.

გითხრეს, რომ კვანტური ფინანსური სისტემა მხოლოდ თეორია იყო. გითხრეს, რომ სამედიცინო საწოლები სამეცნიერო ფანტასტიკა იყო. გითხრეს, რომ საგანგებო მაუწყებლობის სისტემა მხოლოდ სავარჯიშო იყო – ყველაფერში მოგატყუეს.

რაც შეეხება მედბედებს – ოპერაცია „გენეზისი“, ფაზა 2, ახლა აქტიურია. ტეხასის, ფლორიდის და ჩეიენის მთის მიწისქვეშა ობიექტებმა გააქტიურეს პირველი დონის მოწყობილობები. დნმ-ის კალიბრაციის სიხშირე დაყენებულია 432 ჰერცზე. იგივე სიხშირე, რომელსაც ისინი თქვენგან მალავენ. იგივე სიხშირე, რომელიც ტესლამ აღმოაჩინა 1893 წელს და რისთვისაც გაჩუმდნენ.

ეს არ არის განკურნება. ეს არის აღდგენა. დაბრუნება ადამიანის თავდაპირველ შაბლონზე შხამამდე, ფტორამდე. სანამ ისინი თქვენი ეპიფიზის, ფიჭვის ჯირკვლის ხელახლა დაპროგრამებას მოახდენდნენ.

პირველი 10 000 მოქალაქე უკვე დამუშავებულია.

ამას **CNN**-ზე ვერ ნახავთ. ამის შესახებ „ნიუ-იორკ თაიმსში“ ვერ წაიკითხავთ. ისინი იმავე ადამიანებს ეკუთვნით, რომლებსაც ახლა დააკავებენ.

როდესაც ეკრანი შავდება, ნუ ჩავარდებით პანიკაში. ეს ნიშნავს, რომ ისინი წაიშლება. ყველა.

ქარიშხალი არასდროს ყოფილა მეტაფორა. ქარიშხალი დაგეგმილი ოპერაციაა.

ოპონენტი:

„შუმანის რეზონანსი არ „გაჩერებულა“ – ეს არის დედამიწასა და იონოსფეროს შორის არსებული ბუნებრივი ელექტრომაგნიტური ფენომენი. მისი „14 წუთით ნულზე ჩამოსვლა“ გლობალურად ფიზიკურად არ დაფიქსირებულა.

432 ჰერცი „დნმ-ის აღდგენის სიხშირე“ – ესეც პოპულარული მითია. 432 ჰერცი უბრალოდ, მუსიკის ტონალობის ერთ-ერთი ვარიანტია და დნმ-ს განსაკუთრებულად არ „აკალიბრებს“.

„სიბნელის 10 დღე“, მასობრივი დაპატიმრებები, „ღრმა სახელმწიფოს“ განადგურება – ეს ნარატივი უკვე წლებია, სხვადასხვა თარიღით ვრცელდება. ყოველი „გადამწყვეტი თარიღი“ გადის და არაფერი ხდება.

ყველაზე სასაცილო ნაწილი, ალბათ, ესაა: „ყველა დაფარული ანგარიში შვეიცარიაში, კაიმანის კუნძულებსა და ვატიკანის ბანკში გამოაშკარავდა და გაიყინა“.

თუ მართლა მსოფლიოს ყველა საიდუმლო ანგარიში ერთ ღამეში გაიყინებოდა, ამის შესახებ მხოლოდ ფეისბუქ-პოსტი კი არა, მთელი მსოფლიო ილაპარაკებდა.“

ასე, არც „დიფ-სტეითი“ არსებობდა და არსებობს;

პირდად მაქვს ნანახი სპეციალურად შექმნილი ვიდეო და მოსმენილი ტრამპის საუბარი მედბედებზე და თუ არ არსებობს, გაჩნდება, ან არსებობს და ჩვენთვის ხელმიუწვდომელი ინფორმაციაა;

თუ ანგარიშები გაიყინებოდა, ამაზე მთელი მსოფლიო ილაპარაკებდაო – აი, ვლაპარაკობთ მსოფლიო, მაგრამ ვერაფერს დავამტკიცებთ ჩვენნაირი „რიგითები“...

მე მხოლოდ 29 ივნისს ველოდები – თუ **ცერნი** მართლა დაიხურება, თავადვე გადავწყვეტ და დავასკვნი, რა არის მითი და რა არის რეალობა!

მაკა ჯაყელი

ატრაზინი - ფართოდ გამოყენებული საშიში ჰერბიციდი

მას შემდეგ, რაც რობერტ ფ. კენედი ასპარეზზე ფართოდ გამოვიდა, საგონებელში ვარ ჩავარდნილი – რაც მანამდე ე. წ. შეთქმულების თეორიები უფრო მეგონა, ვიდრე სიმართლე, ერთმანეთის მიყოლებიც ცხადდება მწარე სინამდვილედ. ამჯერად ატრაზინზე ვთქვათ,

პესტიციდები, ზოგადად, რა არის, ყველამ ვიცით – ქიმიკატებია, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში მავნე ორგანიზმების გასაკონტროლებლად. ისინი იცავს მცენარეებს დაავადებებისგან, აკონტროლებს მავნებლებს და ზრდის პროდუქტიულობას. პესტიციდები რამდენიმე სახეობად იყოფა იმ მავნე ორგანიზმების მიხედვით, რომლის საწინააღმდეგოდაც გამოიყენება:

ინსექტიციდები – გამოიყენება მწერების გასაკონტროლებლად.

ჰერბიციდები – გამოიყენება სარეველების გასანადგურებლად.

ფუნგიციდები – გამოიყენება სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ.

როდენტიციდები – გამოიყენება მღრღნელების გასაკონტროლებლად.

ნემატოდიკოციტები – გამოიყენება ნემატოდების (მრგვალი ჭიების) გასაკონტროლებლად.

ახლა ვნახოთ, რა არის ატრაზინი!

მისი სინონიმებია: ატზი; ფენატროლი; ატრანექსი; ატრასოლი; ვონუკი; 361; ატრიქსი; ატრექსი; ბიცეპი.

აგროქიმიური ტიპი: ჰერბიციდი.

მოქმედების რეჟიმი: ატრაზინი მოქმედებს, როგორც ენდოკრინული გამანადგურებელი, ბანაკის სპეციფიკური ფოსფოდისტაზა - 4 ინჰიბირებით.

ინჰიბირება – სამედიცინო ტერმინოლოგიით (ლათ. ინჰიბიტო შემაჩერებელი, დამთრგუნველი) - ქიმიური რეაქციის ან ფიზიოლოგიური მოქმედების შეჩერება რაიმე ნივთიერების საშუალებით.

რობერტ ფ. კენედი ვინც არის, ვიცით, მაგრამ მეცნიერი, სახელად ტაირონ ჰეისი, რომელიც კალიფორნიისა და ბერკლის უნივერსიტეტებში მუშაობს, რას იკვლევს და რას ასკვნის, გაგვიგია?

რობერტ კენედის თქმით, შესაძლებლებელია, რომ ამერიკაში ლგბტქ თემის წევრთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყოს აშშ-ის წყალმომარაგებაში არსებული ქიმიური ნივთიერებით, რაც შესწავლის საჭიროებს: „ამჟამად არსებობს ქიმიური ნივთიერება, რომელიც მეორე ყველაზე ხშირად გამოყენებადი ქიმიური ნივთიერებაა ამ ქვეყანაში, პესტიციდი, რომელსაც ატრაზინი ჰქვია. ის აკრძალულია ევროპასა და მთელ მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ მას აქ ვიყენებთ. ის ჩვენი სასმელი წყლის 63%-შია. მეცნიერმა, ტაირონ ჰეისმა ჩაატარა ცნობილი ექსპერიმენტი, რომლის პოვნაც ნებისმიერს შეუძლია ინტერნეტში. მან აკვარიუმში 70 აფრიკული წყლის ბაყაყი მოათავსა, წყალს ატრაზინი დაამატა EPA-ს [გარემოს დაცვის სააგენტო] დონეზე დაბალი კონცენტრაციით. ეს ნაკლებია ჩვენი ონკანის წყლის 63%-ში აღმოჩენილ დონეზე. ამ ბაყაყებიდან ყველა მამრი იყო. 60 სტერილური გახდა. ამ ბაყაყების 10% მდედრებად გადაიქცა და მათ ნაყოფიერი ქვირითის დაყრა შეძლეს. ამგვარად, მათ სქესი შეეცვალათ.

და, რა თქმა უნდა, როგორც წესი, როდესაც ცხოველურ მოდელში მსგავს რამეს ხედავთ, პირველი, რაც უნდა გააკეთოთ, არის მისი ძუძუმწოვრების მოდელზე გამოცდა, შემდეგ კი ადამიანის მოდელზე. ეს ტესტები არასდროს ჩატარებულა, ამიტომ არ ვიცით, რა გავლენას ახდენს ის ჩვენს შვილებზე.

ფაქტები აბსოლუტურად ზუსტია.

მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება.

ეს შედეგები მის ლაბორატორიაში გაიმეორეს და ზოგიერთ ველურ პოპულაციაში დააკვირდნენ.

ატრაზინი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული პესტიციდია აშშ-ში, წლიურად მისი ათობით მილიონი ფუნტი გამოიყენება.

ლგბტქ მოძრაობა, შესაძლოა, უბრალოდ ადამიანების მოწამვლისა და მათი ბუნებრივი ქიმიის შეცვლის შედეგი იყოს.“

2026 წლის 1 ივნისი, 17:01

ჰეისის კვლევის მთავარი და მნიშვნელოვანი დეტალები:

ჰერბიციდ „ატრაზინის“ გავლენა: მეცნიერმა გამოიკვლია, თუ როგორ მოქმედებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებული ჰერბიციდი ატრაზინი ბაყაყების რეპროდუქციულ სისტემაზე.

ექსპერიმენტის შედეგები: ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ატრაზინის ზემოქმედებით მამრი ბაყაყები (მათ შორის, აფრიკული წყლის ბაყაყები) განიცდიდნენ მამაკაცური ნიშნების დაკარგვას. მათ უვითარდებოდათ ქალური სასქესო ნიშნები, ზოგ შემთხვევაში კი - ორსქესიანობა (ჰერმაფროდიტიზმი).

გავლენა ადამიანებზე და გარემოზე: პროფესორი ჰეისი აქტიურად აკრიტიკებს პესტიციდების გამოყენებას, რადგან მისი კვლევები მიუთითებს ამ ნივთიერებების მიერ გამოწვეულ ჯანმრთელობის რისკებზე.

(მე მოკლედ ვამბობ სათქმელს, თორემ თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ მის სამეცნიერო პუბლიკაციებს და ექსპერიმენტის დეტალურ აღწერას **PubMed an Wikipedia** გვერდებზე).

ატრაზინი ფართოდ გამოყენებული ჰერბიციდია, რომელიც მოქმედებს როგორც ენდოკრინული სისტემის დამაზიანებელი (ჰორმონების მარეგულირებელი). მისი ნარჩენები ხშირად ხვდება ნიადაგსა და სასმელ წყალში. ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი გავლენის სფეროებია:

რეპროდუქციული სისტემა: დაკავშირებულია ნაადრევ მშობიარობასთან, სპერმის ხარისხის გაუარესებასთან და ჰორმონალურ დისბალანსთან.

ონკოლოგიური რისკები: ჯანდაცვისა და კვლევითი ორგანიზაციების ნაწილი ატრაზინს განიხილავს, როგორც ადამიანისთვის შესაძლო კანცეროგენს, რადგან მას უკავშირებენ პროსტატისა და ძუძუს კიბოს განვითარების გაზრდილ რისკს.

ორგანოების დაზიანება: მაღალი დოზებით ზემოქმედებამ შესაძლოა, დააზიანოს ღვიძლი, თირკმელი და გული.

ემბრიონის განვითარება: არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ ორსულობის პერიოდში ატრაზინის ზემოქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს ნაყოფის ნორმალურ განვითარებას.

დამატებითი რისკების შესაფასებლად, ატრაზინის ტოქსიკურობის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტოს ან დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ნგარიშებში.

ატრიზინი (ჰერბიციდი) არის წყლისა და საკვების გავრცელებული დამაბინძურებელი, რომელიც მოქმედებს როგორც ენდოკრინული სისტემის დამრღვევი. მისი მოცილება შესაძლებელია როგორც სასმელ წყალში, ისე ორგანიზმის შიგნით გაფილტვრისა და ბუნებრივი დეტოქსიკაციის მეთოდებით.

ატრიზინის მოცილება სასმელი წყლიდან

სახლის პირობებში წყლიდან ატრიზინის სრულად მოსაშორებლად ყველაზე ეფექტური მეთოდებია:

აქტივირებული ნახშირის ფილტრები: ეს არის ყველაზე ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეთოდი. მაღალი ხარისხის ნახშირის ფილტრები (მაგ., ონკანის ან დოქის ტიპის) აკავებენ ატრიზინის მოლეკულებს და წყალს წმენდენ.

უკუოსმოსის სისტემები: წყლის ფილტრაციის ეს ტექნოლოგია ატრიზინისა და სხვა პესტიციდების მოსაშორებლად ერთ-ერთ ყველაზე საიმედო გზად მიიჩნევა. ის წყალს წნევის ქვეშ ატარებს ნახევარგამტარ მემბრანაში, რომელიც ბლოკავს მავნე მინარევებს.

შენიშვნა: მარტივი დუღილი ატრიზინს წყლიდან არ აქრობს.

ატრიზინის მოცილება ორგანიზმიდან

ადამიანის ორგანიზმში ატრიზინი ძირითადად ხვდება დაბინძურებული სასმელი წყლითა და საკვებით.

ბუნებრივი დეტოქსიკაცია: ორგანიზმში მოხვედრისას ატრიზინი არ გროვდება და არ რჩება ქსოვილში. ღვიძლი მას შლის მეტაბოლიზმად და ორგანიზმი ბუნებრივად, ძირითადად შარდის (იშვიათად განავლის) მეშვეობით, მას 24-48 საათში სრულად გამოდევნის.

გამოდევნის დაჩქარება: ვინაიდან ატრიზინი წყალში ხსნადი ნივთიერებაა, ორგანიზმიდან მისი გამოდევნის დასაჩქარებლად საუკეთესო გზაა დიდი რაოდენობით სუფთა (გაფილტრული) წყლის მიღება, რაც აძლიერებს თირკმელების მუშაობას.

საინტერესოა, თუ გვაინტერესებს ჩვენს წყალში ატრიზინის შემცველობის გაგება, წყლის ნიმუშის გაგზავნა შესაძლებელია თუ არა სერტიფიცირებულ ლაბორატორიებში. და გვეტყვიან თუ არა სიმართლეს?

მაკა ჯაყელი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორის მოადგილე: გელა ზედელაშვილი 555 48-48-61
შემოქმედებითი ჯგუფი:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, მაკა ჯაყელი, ნინო დაუშვილი, თორნიკე ზედელაშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (დიზაინი), ბელა გველესიანი; ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.